645
1967



# საქართველოს ქალი

იანვარი
№ 1 1967 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი
(1870—1924)

645
1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

1917

# დილა...

193

10.385

ვასილ გვეტაძე

ეს დილა ტანში ქრუანტლად გვივლის
და ნატვრის თვალი სუფრას დაჰხარის.
სხივებზე მბზინავ ღამეში თბილისს
კარზე მოადგა წელი ახალი.

და ძველთან ნორჩმა წილი იყარა,
დგას ახლა მამის წინ თავდახრილი.
შეთეთრებული ჩანს ნარიყალა,
ზეავარდნილი, როგორც ძახილი.

ფიფქებს შესხმიათ ფრთები ფრთოსნულად,
მტკვარი მოღელავს ტალღის თქარუნით.
ეჰა, ახალი წელი მოსულა,
მოუტანია სხვა სიხარული!

ოქრო დაისხი, ტკბილო ვენახო,
მიწავ, მოგვეცი ხვავი ორწილი.
ამ წელიწადშიც ბევრი გვენახოს
მხოლოდ ნიშნობა, მხოლოდ ქორწილი.

ბევრი აფრინდეს თეთრი მანდილი,
არ დაეჩაგროს გული არავის.
ეზოში, როგორც განძი ნამდვილი,
თვლემდეს ბეღელი და ჭურ-მარანი.

ბუჩქი არ ჩანდეს რტოშეტეხილი,
სულ იხასხასოს მწვანე ველებმა.
ჩატკბეს, ჩამწიფდეს ბაღში ხეხილი:
სიცოცხლედ ღირდეს თვალის შევლება.

კარს არ ვუხშობდეთ ლხინს და მოძახილს,
ჭერს ამაღლებდეს ჰანგი ქართული.
მუდამ ხარობდეს მოყვრის ოჯახი
და მოძმის ფუძე წელგამართული.

ხმა შეიმაღლოს სიტყვამ მგოსნურმა,
შუქი დაადგეს ლექსს ელვარებით.
აჰა, ახალი წელი მოსულა.
ფართოდ გაუღეთ ძმებო, კარები!..

1967

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხუთწლედის ადამიანები

ნაფარეულის ქარითა და მზითაა ზიზი შეფე-რილი, სუსტი აღნაგი, მაგრამ ჯანმრთელი, მალი, გულითადი, მხიარული, საუბარში პირდაპირი და ალერსიანი, საქმეში გაბედული, გამჭრიახი და მოუკერძოებელი.

ადვილება სოფლის მოჭირნახულეს ადამიანე-ბის გულში ჩახედვა, უბრალოდ მიდის ყველას-თან, სწრაფად პოულობს ყველაზე უკეთეს სათ-ქმელს, ყოყოჩობის, თავმომწონეობის, დამადლე-ბის გარეშე აკეთებს ყველაფერს, რისი გაკეთე-ბაც შეუძლია.

უანგარობა მისი უბასრესი იარაღია, რითაც მან თანასოფლელთა გული დაიპყრო.

ზიზი უცხო არ ყოფილა ნაფარეულელებისათ-ვის, მათ თვალწინ გაიზარდა და დასრულდა ხოლუაანთ ქალი. ქალაქს წავიდა, უმაღლესი გა-ნათლება მიიღო; ჯერ მთავარ ზოოტექნიკოსად გაამწესეს ცაგერში, მერე თბილისის საოლქო აღ-მასკომში განყოფილება ებარა, ბოლოს თელავს დაუბრუნდა ტექნოლოგად, მაგრამ მალე პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად დააწინაურეს, საიდა-ნაც ნაფარეულში წავიდა — მევენახეობის საბ-ჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდო-მარედ. მხოლოდ ორიოდე წლის წინ სოფლის წი-ნამძღოლად აირჩიეს.

ამ ორად-ორ წელიწადში ზიზი ხოლუაშვილმა განსაცვიფრებლად მრავალი სახალხო საქმე წა-მოიწყო, ისეთი, ძალზე აუცილებელი რომ იყო, მაგრამ ყურადღება არ ექცეოდა. საბჭოს თავ-მჯდომარეს მხურვალე გული და წმინდა ხელები ჰქონდა. ეს თავს იჩენდა ყოველდღე, ყველაფერ-ში, ყველასთან.

სოფელმა რომ თავის სიკეთეზე გადაგებული ადამიანი ნახა, გულწრფელად შეიყვარა და ხელი გაუწოდა.

ამ ხელს მტკიცედ ჩაეჭიდა ზიზი, ამ ხელმა გაატანინა მას ღელო, დასანგრევი დაანგრევინა, ასაშენებელი ააშენებინა, გადასახურავი გადა-ახურვინა, გასაჭრელი გააჭრევინა.

ალარაფერი გასჭირვებია ზიზის, ამ ხელის მოიმედეს, თუმც უთვალავი საზრუნავი კი დახვ-და. ეს საზრუნავი, გუნდ-გუნდ ფიქრებად აკინ-ძული, თან დასდევდა:

კლუბი პატარა იყო, სოფელი დიდი, 1.200-კომლიანი. კულტურის ისეთი სახლი მოუხდე-ბოდა ნაფარეულს, დაახლოებით ათას მაყურებელს რომ დაიტევდა.

არც მაღაზია ვარგოდა, ძალზე მოუხდებოდა სოფელს ორსართულიანი უნივერსალური მაღაზია.

საპარიკმახერო და ფეხსაცმლის სახელოსნო პატარ-პატარა ხუხულებში მოეწყოთ. საყოფაცხოვ-რებო მომსახურების კომბინატი ნამდვილად და-ამშვენებდა აქაურობას.



15-საწოლიანი საავადმყოფო ვერ სწვდებოდა კომლთა სიმრავლეს. თელავიდანაც სასწრაფო დახმარება ყოველთვის დროულად როდი ამოდი-ოდა. ნაფარეულის საავადმყოფოს საკუთარი მან-ქანა სჭირდებოდა.

ავტოსადგურში არ ჰქონდათ მგზავრთა მოსაც-დელი. ქალაქში წამსვლელნი ღია ცის ქვეშ, წვი-მასა და თოვლში ელოდებოდნენ ავტობუსებს.

ბაზარი ბაზარს არ ჰგავდა, არც შემოკავებული იყო, არც გადახურული.

აფთიაქის შენობა ინგრეოდა.

გამოსაყვანი იყო წყალი.

გასაფართოებელი იყო გზები.

ასაშენებელი იყო საბავშვო ბაღი, დაწყებითი სკოლა.

თვით სოფლის საბჭო ნახევრად მორღვეულ, იატაკდამპალ, ოროთახიან შენობაში იყო მოთავ-სებული. უბრალო შეკეთება ვერ უშველიდა საქმეს, მაგრამ მოწადინებულ კაცს შეეძლო სულმთლად შეეცვალა მისი საცოდავი გარეგნობა.

უპირველესად საკითხავი ახლა ის იყო, სა-იდან გამოენახათ ასე უცბად ამდენი თანხა?

საწუხარ-საფიქრალი ზიზიმ აღმასკომის წევ-რებს გაანდო. გადაწყდა, პირველი ნაბიჯები გა-დაედგათ: საბჭოს მუდმივ მოქმედ კომისიებს სოფლის მშენებლობის საკითხები შეესწავლათ და მოესმინათ. მართლაც საბჭოს აქტივმა დაწვრილე-ბით აღნუსხა სოფლის საჭიროებანი, შეიმუშავა მოქმედების გეგმა.

პირველივე შემთხვევით ისარგებლეს: უნებარ-თვოდ მოჭრილი და სატყეო კანტორაში მიტანილი ხის მორები თავმჯდომარემ სოფლის საკუთრებად აქცია. ერთი ნაწილი აზმეტაში აატანინა და ხე-ტყის ქარხანას მზა პარკეტში გაუცვალა, მეორე ნაწილი სათადარიგოდ შემოინახა და საბჭოს ეზოში დააწყობინა. შეიძინა ცემენტი. სილა ახალგაზრდებს ამოატანინა ალაზნისპირიდან, ცო-ტაოდენი აგურიც იშოვა. მერე სოფლის დურგლები და კალატოზები მოიხმო, მდგომარეობა აუხსნა და სთხოვა, არ დაზარებოდათ კვირაში თითო-ორ-ორი სამუშაო დღით შესწეოდნენ სოფელს.

უარი არ უთქვამთ—გიორგი მოდებაძე, მიშა სა-ბანაძე, შალხაზ ხომიზური, მიტო ყვარელიშვილი, სოლო ჭიტაშვილი და სხვები რიგრიგად მოდი-ოდნენ მშენებლობაზე. მათ ახალგაზრდებმაც აუბეს მხარი.

საბჭოს შენობა გაგანიერდა, დაიგო პარკეტი, მოზაიკით დამშვენდა კიბე, შეიღება ფანჯრები, რაფებზე გაჩნდა ყვავილები, ეზოში ხასხასა კო-ინდარი გაიშალა, მომრავლდა იასამნები და ვარდები.

ეს დასაწყისი იყო.

მალე ავტობუსების ჯიხურიც გაიმართა. ხის მასალის შოვნა არ გასძნელებიათ. კუთხოვან

რკინის სარტყლებს, მართალია, დიდი გაჭირვებით და კითხვა-კითხვით მიაკვლიეს, მაგრამ ჯაფა არად უჩნდათ, დადგმით რამდენიმე დღეში დადგეს.

ჯერი ბაზარზე მიდგა. დურგლები გვიან საღამომდე უსასყიდლოდ მუშაობდნენ, ჩაირგდა დახლები, გადაიხურა და შემოიღობა ბაზარი.

სოფლის მოკეთეების ფიქრი უფრო დიდსა და სანუკვარს საქმეებს დასტრიალებდა. ეს დიდი და სანუკვარი ეგრე ადვილად ასასრულებელი როდი იყო. ნაფარეული, სოფლის მესვეურთა დაუდევრობის გამო, კეთილმოწყობაში შესამჩნევად ჩამორჩებოდა მეზობლებს. ყველაფერი ერთბაშად ასაშენებელი გახდომოდათ.

სწორედ ამიტომ არ ითმენდა დრო ნაფარეულელებისათვის.

მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ ამ დიდ კულტურულ მშენებლობას საკუთარი ძალებით ვერ აუთავდებოდნენ.

ჰოდა, რადგან მეტი გზა არ ჰქონდა, ზიზი ხოლუაშვილმა მთავრობას მიმართა.

## სოფლის ყრილობა

1965 წლის 2 ივლისი არასოდეს დაავიწყდებათ ნაფარეულში.

ყველა დილიდანვე დაძაბული და შემართული იყო.

ელოდნენ საპატიო სტუმრებს.

განსაკუთრებით ის აღელვებდათ, თუ რას ეტყოდნენ ნაფარეულელებს იმ საჭიროებებზე, რაც ახლა დიდმაც და პატარამაც კარგად იცოდა.

გზაზე მანქანები გამოჩნდა. მთავრობა ეწვია სოფელს.

ღელვით დახვდა სოფლის ყრილობა.

რადგან კლუბი პატარა იყო, მოედანზე დაიდგა რეპროდუქტორები, რათა მთელ სოფელს გაეგონა, რა ხდებოდა შენობაში.

აი, ზიზი ყრილობას გახსნილად აცხადებს.

საქმიან პრეზიდიუმში ირჩევენ საპატიო სტუმრებს: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გიორგი ძოწენიძეს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს შოთა ჭანუყვაძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზინაიდა კვაჭაძეს, გაზეთ „იზვესტიის" კორესპონდენტს იური ზვიაგინს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ლევან საყვარელიძეს, თელავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მედეა მეზვრიშვილს, კიდევ მრავალ სხვა პასუხისმგებელ პირს და თვითონ ზიზი ხოლუაშვილსაც.

მომხსენებელმა შეაჯამა... ზიზი ხოლუაშვილის თავმჯდომარეობის 10 თვეში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით და საზოგადოებრივი სახსრებით საბჭოს შენობა გაეახლებინათ, სოფლის გზებზე 3.000 ძირი ნერგი გაეხარებინათ, ბაზარი კეთილმოეწყოთ, ავტობუსების მოსაცდელი ჯიხური გაემართათ, ათას ას მეტრზე სასმელი წყალი გაეყვანათ, სოფელში ჩამომდინარე წყლისთვის ერთ კილომეტრზე ბეტონის კალაპოტი ამოეშენებინათ, სამ კილომეტრზე გზა მოეხრეშათ და ზედ 5 ბოგირი გაედოთ.

გარდა ამისა: თელავის რაისაბჭოს აღმასკომისთვის უთხოვიათ და მასაც დაუკმაყოფილებია კრების თხოვნა ლაბორატორიისა და საავადმყოფოს შენობების შეკეთების თაობაზე. დადებითად გადაუჭრიათ განათლების სამინისტროში საშუალო სკოლის აგების საკითხი; რაიონის ხელმძღვანელთა დახმარებით მოუასფალტებიათ ლაფანყურის გზა, მალე ტროტუარები და ლამპიონები დაამშვენებს სოფლის შუაში გამავალ გზატკეცილს.

მაგრამ სოფელს მაინც ბევრი რამ დარჩა მოსაგვარებელი: კლუბი ნამარნევშია გამართული, საჭიროა კულტურის სახლი; შესაკეთებელია აფთიაქი; თერთმეტი სავაჭრო ობიექტი აქვთ და თერთმეტივე თითქმის უვარგის შენობაშია მოთავსებული, ყველა ამას აჯობებდა ერთი უნივერსალური მაღაზია; ყოველდღიურად 8-9 კილომეტრზე უხდებათ მუშებს სამუშაოზე სიარული, ერთი ავტობუსი მონათლავდა სოფელს; კეთილმოსაწყობია სოფლის ცენტრის ქუჩები...

კიდევ დიდხანს მსჯელობდნენ...

სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შოთა ჭანუყვაძემ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი ძოწენიძემ. ყრილობამ მიიღო ვრცელი რეზოლუცია და მხიარულ-იმედიანად დაიშალა.

## დ ღ ე ს

ცხოვრება ყრილობის მიერ დასახული გზით წავიდა ნაფარეულში. გაგანიერდა სოფლის გზა, დაინგრა ძველი ყორეები. მანქანას რომ ნანგრევები გაჰქონდა, ურემს ახალთახალი ბოძები და მავთულბადე მოჰქონდა. ბადის იქით ვარდი და იასამანი დარგეს. ერთნაირად ლამაზი გამოვიდა გზა. ზიზი ახლა ამ ბადეების ნაირფერხოვლებად შეღებვას აპირებს.

მოსახლეობამ თავისი ხელით გათხარა სკოლის საძირკველი.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ კომბინატის ასაგებად უკვე მოზიდა საშენი მასალა.

საბავშვო ბაღისა და დაწყებითი სკოლის მშენებლობაც დაიწყო.

აფთიაქი ხომ დიდი ხანია ახალ ყაიდაზე გამოიყურება.

ზიზი ყველგანაა, ყველაფრის მეთვალყურეა.

შინ დროდადრო შეირბენს, გოგონებს მოიკითხავს — ნინოს და მანანას. მერე ისევ თემშარას გაჰყვება. პატარები შეჩვეულნი არიან, რომ დედა იშვიათად არის შინ, მუდამ აუარებელი საქმე რომ აქვს და მათთვის მხოლოდ ძილის წინ იცლის.

ძილის წინ იცლის ზიზი თავისი შვილობილებისთვისაც. მაგიდის უჯრაში სათუთად ინახავს საბჭოს თავმჯდომარე თბილისიდან, ცაგერიდან, დუშეთიდან, აჭარიდან თუ რუსეთიდან მოწერილს.

ზოგი დედობრივ სიყვარულს სთხოვს, ზოგი დაფნისა და გერანის თესლს, ზოგი რას, ზოგი რას. ეს წერილები რომ აკინძო და ზედ იმის განმარტება დაურთო, თუ ვინ სად, რა შემთხვევის გამო დაუკავშირდა ზიზის, ნამდვილად მოზრდილი წიგნი გამოვა. უანგარიშოდ გზავნის ყველაფერს, რასაც სთხოვენ, ზედაც კახურ ხილს და ჩურჩხელებს დაუსართებს.

რა გასაკვირია, რომ ნაფარეული ხელისგულზე ატარებდეს ზიზის!

— მადლიანი ქალია, — ამბობენ სოფელში ხოლუაანთ ქალზე და მერე ხუმრობით ჩაურთავენ: — ხომ გაგიგონიათ, დედაკაცმა თუ გაიწია...

**ეთერ სახვაძე**



ქ. ბახუტაშვილი



მ. ქავთარაძე



ნ. ქარიბაია

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარგარიტა ბებიაშვილი და მარინა ხავთასი

რუსეთში, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, ტელეგრაფის სისტემაში მხოლოდ მამაკაცები მუშაობდნენ. რუსეთის იმპერატორმა 1885 წელს მოაწერა ხელი ბრძანებას, რომელიც ნებას რთავდა ქალებს ემუშავათ ტელეგრაფის უწყებებში, მაგრამ რევოლუციამდე რუსეთშიც და საქართველოშიც ამ სისტემაში მომუშავე ქალებს მაინც ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა წინ: ტელეგრაფში სამუშაოდ მხოლოდ გაუთხოვარ ქალებს იღებდნენ, მას გათხოვება შეეძლო მხოლოდ ამავე უწყების მოსამსახურეზე, რათა ავადმყოფობის შემთხვევაში მათ სამუშაოზე ერთმანეთი შეეცვალათ. შრომის საფასურს ქალი მამაკაცზე ნაკლებს იღებდა

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა 1905-1906 წლების გაფიცვებში აქტიური მონაწილეობით ქალებმა საუკეთესო ფურცლები ჩასწერეს გაფიცვების ისტორიაში.

შეუძლებელია არ მოვიგონოთ ტელეგრაფის ყოფილი მოხელე, შემდეგში ცნობილი საბავშვო მწერალი ანა ხახუტაშვილი. ეპარქიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 19 წლის ანა ტელეგრაფში მიიღეს სამუშაოდ. იგი მალე გაეცნო ტელეგრაფისტების შრომის მძიმე პირობებს. უფროსი ამხანაგების მაგალითისამებრ, ანა რევოლუციურ მუშაობაში ჩაება,ავრცელებდა პროკლამაციებს, ასრულებდა საპასუხისმგებლო დავალებებს. ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა 1905 წლის გაფიცვაში მონაწილეობისათვის იგი „მგლის ბილეთით" დაითხოვეს სამსახურიდან.

დღეს კავშირგაბმულობაში მტკიცედაა დამკვიდრებული ქალთა შრომა. ისეთი სპეციალობები, როგორიცაა ტელეგრაფისტობა და ტელეფონისტობა, მთლიანად ქალებმა დაისაკუთრეს. კავშირგაბმულობის ყოველი დარგის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნახევარს ქალები შეადგენენ. უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა შორის ნახევარი ქალები არიან.

კავშირგაბმულობის საჩხერის რაიონული კვანძის უფროსია მერი ქავთარაძე. საქართველოში ამ თანამდებობაზე ქალებიდან პირველად მერი ქავთარაძე დაინიშნა. მან სათანადო სიმაღლეზე აიყვანა მუშაობა რაიონში. თუ კვანძის კოლექტივი დღეს მჭიდროდ არის შეკავშირებული, თუ საქმე უყვარს და მუშაობის მაღალი კულტურა გააჩნია, ეს მერის დამსახურებაა. კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში 1963 წლიდან ორჯერ დაიმსახურა გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

მერი საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიონული კომიტეტის წევრია, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

33 წლის წინათ მოვიდა თბილისის სატელეფონო ქსელში ნინო ქაჩიბაია იმ სურვილით, რომ სატელეფონო ტექნიკას დაუფლებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ნინო სადგურის კროსის დანადგარებს გულმოდგინედ ათვალიერებდა, მათ მუშაობას აკვირდებოდა. კროსის დანიშნულების შესახებ მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, ვერ გაეგო, რისთვის იყო საჭირო უამრავი სხვადასხვა ფერის წვრილი სადენების გაბმული ქსელი. მას აუხსნეს, როგორ ხდებოდა ამ სადენების საშუალებით სახაზო კაბელების სასადგურო დანადგარებთან შეერთება.

ნინო ქაჩიბაია სულ მალე დაეუფლა კროსის რთულ ტექნიკას და ასევე მალე ამხანაგების სიყვარულიც დაიმსახურა. 1935 წელს ატსის კოლექტივმა იგი კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატად დაასახელა, შემდეგ ატსის კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

ელექტრო-მონტიორ ნინო ქაჩიბაიას შრომა ღირსების საქმედ მიაჩნდა. იგი ამჟამად ატს № 3 და № 9 კროსის უფროსია და ხელმძღვანელობს კალინინისა და კიროვის რაიონების სახაზო და საკაბელო მეურნეობაში მომუშავე მონტიორებს და ტექნიკოსებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დაზიანებული ტელეფონების თავის დროზე აღდგენასა და შეკეთებას. თავდადებული შრომისათვის ნინო ქაჩიბაია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით დააჯილდოეს.

ბევრი იცნობს თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ბრიგადირს ქეთო ბახუტაშვილს. გულისხმიერი, თავმდაბალი, უაღრესად შრომისმოყვარე, საუკეთესო ორგანიზატორი, ყველა ტელეფონისტისათვის საყვარელი ადამიანი — ასეთია იგი. 35 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ქეთო პირველად მიუჯდა საქალაქთაშორისო კომუტატორს და პირველად შეუერთა აბონენტი სხვა ქალაქს. ვინ იცის, მას შემდეგ რამდენი ქალაქი და სოფელი ერთმანეთს დააკავშირა, სიხარულის და ბედნიერების რამდენი ამბავი გაუშვა სადენებში. მისი ბრიგადა გამოირჩევა მომსახურების მაღალი მაჩვენებლებით და კულტურით. ქეთომ 1946 წელს მთავრობის პირველი ჯილდო მოიპოვა. შემდეგში იგი დააჯილდოეს შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით. ახლა მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებს უზიარებს.

განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდება თავის საქმეს კავშირგაბმულობის გორის ქალაქის კვანძის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტი სოფიო ქვრივიშვილი. 35 წლის უმწიკვლო მუშაობით და საქმისადმი სიყვარულით მან ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და მოსახლეობის დიდი პატივისცემა დაიმსახურა, რისთვისაც ორჯერ იქნა არჩეული გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მისი მუშაობის მაჩვენებლები ყოველწლიურად იზრდება, ამიტომაც 1966 წელს იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს.

თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის საკომუტატორო საამქრო, უდიდეს თანამედროვე საწარმოს მოგაგონებთ. აქ თავმოყრილია ყველა იმ დიდი თუ პატარა ქალაქებისა და სოფლების სადენების წვერები, რომლებთანაც კავშირი აქვს თბილისის სატელეფონო სადგურს. ამ სადგურიდან ხორციელდება დაკავშირება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ცენტრებთან და ქალაქებთან და უცხო სახელმწიფოებთანაც. ადამიანის ნერვული სისტემის ცენტრის მუშაობის მსგავსად, პირველად ამ საამქროში იგრძნობა რესპუბლიკის რომელიმე ადგილას მომხდარი უწესრიგობა, შეფერხება ან დაზიანება. ამიტომ ამ საამქროს მოქნილ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მაღალხარისხოვანი სატელეფონო მომსახურება.

საკომუტატორო საამქროს უფროსი მარგალიტა ბებიაშვილი, როგორც დირიჟორი, თავისი სამუშაო ადგილიდან ხელმძღვანელობს მთელ საქმეს. მისი რაციონალიზატორული წინადადებებით ბევრი რამ ახალი შეემატა საწარმოს. იგი დამსახურებულად ატარებს შრომის წითელი დროშის ორდენს.

მიხეილ სულთანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან სულაკაური




მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

მაყრები ფეხზე იდგნენ, ცლიდნენ ყანწებსა და წასასვლელად ემზადებოდნენ, ცხენებს კაზმავდნენ და ყორეში შერჭობილ პალოებზე აღვირით აბამდნენ. სუფრის ბოლოში ბერიკაცებიღა ისხდნენ და ლხინით ტკბებოდნენ. მე უკვე კარგახანი იყო მათთან ვიჯექი, ძველ ამბებს ვისმენდი. ხანდახან თვალს მოცეკვავეებისაკენ გავაპარებდი.

დოლ-გარმონი შექეიფიანებულ მაყრებს სისხლს უდუღებდა. ზოგჯერ დამბაჩა დაიქუხებდა; ეს ის მაყრები იყვნენ, რომლებიც ფეხზე ჰადა-ჰა იდგნენ, ცეკვა აღარ შეეძლოთ და დამბაჩის ბათქით უერთდებოდნენ მეჯორწილეებს.

დამბაჩის ბათქისა და დოლ-გარმონის ხმაზე ძუაგამონასკვული ცხენები ცმუკავდნენ, ლაგმებს ხრავდნენ, თვალებს აბრიალებდნენ.

დოლ-გარმონი ბერიკაცებსაც მატებდა ხალისს: თვალები უბრწყინავდათ, მოცეკვავეთ სახემოღიმარნი გადახედავდნენ; ლხინი სიჯეელეს თუ ახსენებდათ, თავს გააქნევდნენ ხოლმე.

ცეკვავდნენ... ცეკვავდნენ და დაღლამდე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ქალები დარცხვენილნი ტოვებდნენ საცეკვაოს, ბიჭები ერთმანეთს არ უთმობდნენ.

ფერდობს მიკრული პატარა და მუდამ ჩუმი სოფელი, ვიწრო ხეობის სიღრმეში დატყვევებულს რომ ჰგავდა, ახლა ბუბუნებდა, ხმაურობდა, თითქოს აჯანყებოდა მაღალ მთებს და თავის დაუოკებელ სულს ამჟღავნებდა ამ ქორწილში.

ბერიკაცებს ისიც უხაროდათ, რომ მე გულისყურით ვისმენდი მათ საუბარს.

ვიღაც ქალწული ვაჟკაცურად ცეკვავდა, იწვევდა გახელებულ მაყრებს. მერე ვიღაც ბიჭი შეეთამაშა, ქორივით ჩაუქროლა, ისე ჩაუქროლა, იფიქრებდი, აი, საცაა ხელში აიტაცებს, ფრთიან რაშს მოახტება და ცხრა მთას იქით გადააქროლებსო.

— სად არ გეძებე, შენ კი აქ ყოფილხარ, — გამიღიმა ნეფის ძმამ და ჩამიმუხლა. ერთი ყანწი ლუდი გამოცალა, მხარზე ხელი მომხვია.

— ძველ ამბებს ყვებიან, თუ გინდა შენც დაჯექი.

ქალწული არ უთმობდა ბიჭს, თამამად და გაბედულად შლიდა ხელებს. იღიმებოდა, თვალები ნაკვერჩხლებივით ანთებოდა.

— მოდი, იცეკვე, აქაურებს შენი ქალაქური ოსტატობა უჩვენე, — შემეხვეწა ნეფის ძმა.

— არც ესენი ცეკვავენ ცუდად.

— თქვენ სკოლებში სწავლობთ ცეკვას, აქაურები ქორწილებსა და დღეობებში თუ იცეკვებენ ხოლმე. ადე, იცეკვე.

— ბატინკები მაცვია.

— ყველა აქ მოსულ ქალაქელს ასეთი ბატინკები აცვია.

ქალწული საცეკვაოს დატოვებას არ ფიქრობდა, ბიჭს სახე გადაუფითრდა მძიმედ მოძრაობდა, ალბათ დაიღალა. ქალწული მოქნილ ტანსა და სრულ თეძოებს მსუბუქად არხევდა, მაგრამ ალბათ ისიც დაიღალა, სახე აწითლებოდა, ბიჭს მაინც არ უთმობდა.

— ჩაუჭერი, ვაჟის მაყარი ხარ შენც, ისიც. არ ეწყინება.

— ბატინკები მძიმეა.

— ნახე, რა გოგოა! ასეთ გოგონასთან ცეკვას სხვა ხალისი აქვს.

— ბიჭი გახელდება.

— გახელდეს, ქორწილს გახელება უხდება.

— კაი ბიჭი ჩანს, ეწყინება.

ქალწულმა ბოლოსდაბოლოს დატოვა ასპარეზი, ვაჟს დაუთმო, სახალხოდ არ შეარცხვინა სახეგაფითრებული მაყარი.

ნეფის ძმა წამოდგა. მათრახი ქამარში გაირჭო და ტანის რხევით წავიდა.

ბერიკაცებს ქალებზე ჩამოეგდოთ საუბარი წეღანვე და აგრძელებდნენ.

— ქალმა თუ მამაცობაზე თავი დადო, მერე ზოგ-ზოგმა კაცმა კოჭებზე უნდა იაროს, — თქვა ერთმა.

— ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარიც ვეღარ დააკავებსო, — ჩაურთო მეორემ.

— ეგ ალქაჯ ქალებზეა ნათქვამი. მე იმათზე ვამბობ, თავისი ქალობის ფასიც რომ იციან და ვაჟკაცობაშიც ტოლს არ უდებენ. ჩემს ბალღობაში გამიგონია ერთი ამბავი...

— დაიცა, — შეაჩერა თამადამ. თამადას „ბოსელას“ ეძახდნენ სახელად. — თითოც შევსვათ და მერე თქვი. გაუმარჯოს ამ ჩვენს ქალაქელ სტუმარს, იცოცხლე, შვილო, ეს კუთხეც შენია, ქალაქიც. გაგიმარჯოს!

— იცოცხლე!

— იდღეგრძელე!

— გაიხარე, შვილო! — ყანწების ტყე აღიმართა ჩემს ირგვლივ. იღიმებოდნენ, თავს მიქნევდნენ. ლუდით სავსე ყანწები ნელ-ნელა დაცალეს. ბერიკაცმა განაგრძო:

— ეგეთი ამბავი გამიგონია: სოფელს მტერი შემოსევია, ვინც თავს უშველა, ხო შეასწრო ქავ-ციხეში, ვინც არა და — ამოუწყვეტიათ. ალბათ დიაც-ყმაწვილს ამოწყვეტდნენ. ციხეს შემოხვევიან, ქავ-ციხის კარის დალეწვა და ლაზოს გამოთხრა მოუნდომებიათ. სათოფურებიდან ესროდნენ, საიქიოში გზავნიდნენ მომხდურებს; ლიბოსთან მიმსხდარებს ჩარდახიდან გადმოსხმული ადუღებული წყლით მდუღრავდნენ. ხოცავდნენ — მტერი არ ილეოდა. ესროდნენ, მტერი მაინც კალიასავით ეხვეოდა ქავ-ციხეს.

მეომარ ვაჟებს ქალები მხარში ედგნენ, ამხნევებდნენ, თოფებს უტენიდნენ, ხანდახან თვითონაც ესროდნენ.

ერთი დღე უბრძოლიათ, ორი... მაშველი ჯარი მაინც არ გამოჩენილა შეწუხებულან. ბიჭებს უძილობისაგან თვალები დასიებოდათ, წარბი. და წამწამი შეტრუსოდათ. არც ქალებს დაუხუჭავთ თვალი... საცაა გატყდებოდნენ, მტერს ქედს მოუხრიდნენ. სადღაც, შორს მაშველნიც დაულანდავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი მისცემიათ. ერთიც გაუბრძოლებიათ, ერთიც დაუქუხებია ციხეს. ნატყვიარნი ფერდობზე დაგორებულან, სხვები საფრებში მიმალულან. მერე შეუტევია მტერსა და დენთის ალში გაუხვევია გაუტეხელი ქავ-ციხე. მაშველი შორს ყოფილა, რაღაც უნდა ჩაედინათ, რომ ციხე მტერს არ ჩავარდნოდა...

...მაყრიონი სოფლის მიღმა გავიდა. დოლ-გარმონს უკრავდნენ, მღეროდნენ, ცხენებს დაატარებდნენ — მოფიცხდებიანო, დამბაჩებს აბათქუნებდნენ ვიწრო ხეობა ზანზარებდა, მერე კივილი მოისმა. მხედრებმა სადავეებს მიუშვეს.

— თითოც დავლიოთ, შვილო, დაეწევი.

— ისეთი ცხენი გყავს, გაუსწრებ კიდეც.

მე ისევ ჩამოვჯექი.

— ჰოდა, რაღაც უნდა მოემოქმედებიათ, რომ მტერი გაკვირვებისაგან გაოგნებულიყო. ტყვია-წამალიც თითო სროლაღა დარჩენოდათ, აღარც წყალი ჰქონდათ. ,,აი, მიყურეთ, რაი ვქნაო'', — უთქვამს ბუბაურთ ათენას, — ხმალი მომეცით და თვალი გეჭიროთო. ხმალი აუღია. მერე ჩარდახიდან გადამხტარა. მტერი გაფანტულა, შემდრკალა ქალის დანახვაზე და გაფანტულა. შებმია ლეკის ბელადსა და შუაზე გაუსხეპია, ბელადისავე გზაზე გაუგზავნია ორი-სამი სხვაც. მერე ოხრებს ქალის ცოცხლად შეპყრობა განუზრახავთ. ქალს უცხოობაში ტყვეობას, მამულში სიკვდილი აურჩევია და თავი მოუკლავს. ჰო, თავი მოუკლავს, იმოდენა ქალობა ჰქონია...

...ბერიკაცები ერთხანს დუმდნენ, ლუდით პირთამდე სავსე ჯიხვის ყანწებს დაჰყურებდნენ. მერე ქალები ადღეგრძელეს და დაცალეს.

მაყრიონი თვალს მიეფარა. ზოგჯერ ხეობაში დაიქუხებდა დამბაჩა, ზოგჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა სიმღერა. სოფლიდან ვიღაც დაგვიანებული მაყარი გაენთო, თავდაუზოგავად მიაჭენებდა ცხენს და მიჰკიოდა.

— ეჰა, რა სამაყრო ცხენი მოუცდენია! — წაიდუდუნა ვიღაცამ.

— სტუმარს კაი ცხენი უნდა ყავდეს. მა რა! — გაუჯავრდა ბოსელა ცხენი მომგვარა. უნაგირი შეამოწმა, გარსაკრები მაგრად მოუჭირა, მერე აღვირი მომაწოდა:

— ცხენის ნუ შეგეშინდება, თვალებზე ეტყობა, რომ ჭკვიანია, მაგრა დაჯექი და მიუშვი...'' კაი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო'', ამბობენ.

* * *

სოფელი მალე გორის უკან დარჩა. ცხენი ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა ვიწრო ბილიკს, რომელიც ხან ფერდობს ჩახვეოდა, ხან მდინარის პირ-პირ მიიკლაკნებოდა. შორს, ხეობის სიღრმეში ცხენოსნები დავლანდე და ლაგამს მივუშვი. ცხენი შეთამამდა, ყურები ცქვიტა, თავი ასწია და გაოთხდა. მთათუშეთის ბილიკებზე ცხენდაცხენ სიარულს კარგად მივეჩვიე იმ ორიოდე კვირის განმავლობაში, რაც თბილისიდან ამოვედი. პირველად ჟრუანტელი მივლიდა გზის ქვემოთ ყბადაღებული უფსკრულების დანახვაზე, მაჟრჟოლებდა იაბოს სითამამეც. კლდეში კიბესავით გამოკვეთილ საცალფეხოზე ფხაჭა-ფხუჭით რომ მიაბიჯებდა. მაშინ აღვირს მივუშვებდი, ტახტას ორივე ხელით ჩავებღაუჭებოდი, უზანგებიდან ფეხებს გამოვიღებდი და ხიფათს ყოველ წუთს ველოდი. ეს პირველ დღეებში იყო; ნამეწყრალ საცალფეხოებსა და ქარაფში გაჭრილ ბილიკებზე სიარულს თანდათან შევეჩვიე.

ცხენოსნებს დავეწიე. ქალები აღმოჩნდნენ. ცხენები შეაყენეს და გზა დამითმეს. მეც ცხენი შევაყენე. წინ იარეთ, მითხრა აბრეშუმის წითელმანდილწაკრულმა ქალმა, თუ ჩქარა ივლი, მაყრიონს დაეწევიო. ,,ჩვენთან იაროს'', — თქვა გრძელნაწნავიანმა და სადავე გზისკენ მოზიდა. მე მათ უკან მივაყოლე იაბო.

გრძელნაწნავიანი ვაჟკაცივით წელ გამართული იჯდა ცხენზე, დანარჩენები ცხენის ნაბიჯს ტლანქად აყოლებდნენ ჩასუქებულ წელს, მათრახის მაგიერ აღვირის ბოლოს ხმარობდნენ.

— სადაური ხარ? — მომიბრუნდა გრძელნაწნავიანი.

— თბილისელი.

— ქორწილში რად არ იცეკვე?

— რა ვიცი.

— მე მეგონა, იცეკვებდი.

— ლელა! — ცხენი შეაყენა აბრეშუმისმანდილიანმა. ლელა უნაგირზე ნახევრად შემობრუნდა, ცერად მოხედა.

— არ უნდა ეცეკვა? — გაუღიმა.

ლელა... ლელა ყოფილა, მე კი სახელი არ ვიცოდი; იქნებ მეც დამლოდა, სანამ შეეძლო იროკვებდა, მერე სახეაწითლებული, გაღიმებული და



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკვერცხლებივით თვალებანთებული დამითმობდა საცეკვაოს. თუმცა რატომ უნდა დაეთმო?.. ქალია და ალბათ იმიტომ.

ცეკვა-თამაში წეღან ძალიან უხდებოდა, არც ამხედრებული იყო ნაკლებ მომხიბვლელი.

— არ უნდა ეცეკვა? — გაიმეორა კითხვა.

აბრეშუმისმანდილიანმა ლელას რაღაც ანიშნა, კისრის ძარღვები დაეჭიმა:

— თვალი დაგიდგა, გოგო, ლამის თვალებით შეჭამე იქაურობა. რამდენჯერ განგებ გაიწიე მოხუცებისაკენ.

— განგებ, მაშ!..

— ნეტაი შენ, თამამი რო ხარ.

— თქვენ ვინლა გიშლით.

— ჩვენ?.. — ენა დაება აბრეშუმისმანდილიანს — არავინ...

გზამ გაივაკა. ცხენები მხარდამხარ მიაბიჯებდნენ. ლელამ ცხენი გვერდზე ამომიყენა, ჩემი იაბო შეათვალიერა, მერე მკითხა:

— შენი საღარი ყოჩაღია?

— არ ვიცი, დოღში არ მიცდია.

— მაინც როგორი მუხლი აქვს?

—აქებენ, ასეთი ცხენი მთელ პირიქითში არ არისო.

— მართლა?

— ჰო, ასე ამბობენ, არ ვიცი, არ მიცდია.

ლელა ცხენზეც თამამად და თავისუფლად იჯდა, გამოხედვაშიც მეტი სითამამე და გამბედაობა ეტყობოდა, ვიდრე ეს მთიელ ქალებს სჩვევიათ ხოლმე.

აბრეშუმისმანდილიანიც მაინცდამაინც არ მორცხვობდა. დანარჩენი ორნი ხმას არ იღებდნენ, ზოგჯერ გაიცინებდნენ და ცხენის ნაბიჯს ტლანქად აყოლებდნენ ტანის რხევას.

— მოდი, გინდა ცხენები ვცადოთ? — მომიბრუნდა ლელა.

— გავაჭენოთ?

— ჰო, გავაჭენოთ.

— რა ვიცი. — გამეცინა მე და ერთმანეთში ჩახლართულ ბილიკებს გავხედე.

— სანაძლეოც დავდოთ.

დანარჩენებმა ერთმანეთს გადახედეს, ეშმაკურად გაეღიმათ.

— რაზე უნდა დანაძლევდეთ? — ცხენი შეაჩერა აბრეშუმისმანდილიანმა.

სადავეები ჩვენც მოვზიდეთ, ცხენები შევაჩერეთ. ლელას გამბედაობამ გამაკვირვა, სითამამე შემმატა, ჩავფიქრდი, რაზე შემეძლო დავნაძლევებოდი. ლელა თვალს არ მაცილებდა, იღიმებოდა. უფრო ლამაზი მომეჩვენა, ვიდრე წეღან ცეკვის დროს, უფრო გამბედავი, თავისნათქვამა და ჯიუტი. აბრეშუმისმანდილიანიც ისე მომჩერებოდა, თითქოს მეკითხებოდა, რაზე შეგიძლია დაენაძლაოო.

— ,,ამერიკანკაზე".

— რაზე? — თვალები გაუფართოვდა აბრეშუმისმანდილიანს.

— ამერიკანკა როგორიღა სანაძლეოა? — გაოცდა ყველაზე მსუქანი, თვალები რომ თითქოს არ ეტყობოდა, გაიცინებდა და ხაზებივით ემჩნეოდა.

— ჩვეულებრივი სანაძლეოა: წაგებული მოგებულს სამ სურვილს უსრულებს.

— სამ სურვილს?

— ჰო.

— წინდაწინ რაა დათქმული?

— სამი სურვილის შესრულება.

ლელას გაეღიმა, აბრეშუმისმანდილიანმა გადაიკისკისა, თავი უკან გადასწია, გულიანად იცინოდა. ხარხარებდნენ ქარაფები და ფერდობები, თითქოს ჩემს ნათქვამს დასცინოდნენ — უკვირდათ და დასცინოდნენ. ორი ჩასუქებულიც ფხუკუნებდა, მანდილის ყური ტუჩებზე აეფარებინათ და ფხუკუნებდნენ. ჩემი ნათქვამის შემრცხვა.

აბრეშუმისმანდილიანი დაცხრა, მერე მომიბრუნდა:

— ლელამ თუ წააგო, სამი სურვილი უნდა შეგისრულოს, ხომ?

— ასეთია სანაძლეო.

ჩასუქებულები კიდევ ფხუკუნებდნენ, ახლა უკვე უნაგირებზე დახრილიყვნენ და სახე მანდილში ჩაემალათ. ქარაფებმა და ფერდობებმა კიდევ გადაიხარხარეს.

— ლელამ თუ წააგო, პირველი სურვილი რა გექნება? — მომაჩერდა აბრეშუმისმანდილიანი; ისე მიყურებდა, თითქოს დამცინოდა, მაგრამ პასუხს დაჟინებით ელოდა.

— წინდაწინ არ ვიცი.

— იქნებ ცოლად წაყვანა მოისურვო.

— შეიძლება.

— იქნებ... კოცნა მოუნდომო.

— სამი სურვილი სანაძლეოს პირობაა.

— ერთი სურვილი არ კმარა?

— არა!

— ძნელია.

— რა?

— სამი სურვილი.

— ისეთი რამ არ იქნება, რასაც ვერ შეასრულებს.

— ვიცით, თავის მოკვლას არ დაავალებ.

— შენ თუ წააგე? — სიცილისაგან სახეაწითლებულმა ჩასუქებულმა თავი ასწია.

— ლელას ნებაა, რასაც დამავალებს — შევასრულებ.

— არა. ჩვენთან ასეთი სანაძლეო არ იციან! — მტკიცედ თქვა აბრეშუმისმანდილიანმა.

— იყოს. თანახმა ვარ ! — განაცხადა ლელამ. ღაწვებშეფაკლული და თვალებანთებული მომიბრუნდა, — თანახმა ვარ!

აბრეშუმისმანდილიანმა შუბლი შეიკრა. მწყრალად შეხედა ლელას. ჩემსკენ შემობრუნდა. ჯერ მე შემათვალიერა, მერე ჩემი იაბო. მზერა ლელას ლურჯაზე გადაიტანა. თითქოს თავისთვის თქვა:

— როგორც გინდათ.

ცხენები ნელი ნაბიჯით დავძარით, სანაძლეოზე შევთანხმდით და არ ვჩქარობდით.

ვაკობი მდინარის პირზე მთელი მთის სიგრძეს მიჰყვებოდა, მთა უხვევდა, ვაკობიც. ვაკობს საცალფეხო ბილიკები მიჰყვებოდა, ერთგან ციცაბო კლდე მოჩანდა, ყველა ბილიკი აქ იყრიდა თავს, იქით კვლავ ვაკობი მოჩანდა. ერთხანს ვდუმდი, მერე აბრეშუმისმანდილიანმა თქვა:

— სანაძლეო რომ წააგო, ხალხი რას იტყვის, ყბად აგიღებენ და გაგჭორავენ. ბიჭებს გაახელებ, ორგულს გაახარებ. ქალო, გაგიჟდი?

— ბიჭები გახელდნენ, ორგულიც გაგიჟდეს! — უპასუხა ლელამ.

— სირცხვილია.

— აქ ყველაფერი სირცხვილია, ბიჭებთან ცეკვაში გაჯიბრებაც, ყველაფერი.

ჩრდილებმა მთის ფერდობების ნახევარი გაიხვიეს უბეში. მწვერვალებისაკენ ხელებს შეუმჩნევლად მიაპარებდნენ. მდინარეც ხმაურით იკლებდა იქაურობას, ლოდებს ლოკავდა, შფოთავდა, ტალღების ტყლაშუნით გარბოდა ბილიკების გასწვრივ.

შეჯიბრების მანძილი დავთქვით: ჯერ ვაკობი უნდა გაგვერბინა, ვაკობის ბოლოში კლდესთან ყველა ბილიკი ერთდებოდა. მერე პატარა ციცაბო დაღმართი იყო. დაღმართის იქით კვლავ დიდი ვაკობი გაჭიმულიყო მდინარის გაყოლებით. ვაკობის ბოლოში, ბექთან, გამხმარი ფიჭვი მოჩანდა, შეჯიბრი იქ უნდა დაგვემთავრებია.

ცხენები მხარდამხარ დავაყენეთ. ლელამ მათრახი მაჯაზე მოირგო, აღვირი მარცხენათი ჩაბღუჯა, უზანგებზე წამოიწია, შეამოწმა. ცხენებმა თითქოს იგრძნეს ჩვენი გუმანი — შეცმუკდნენ, შეტოკდნენ, თვალებს აბრიალებდნენ, ლაგამს ხრავდნენ და ნესტოები ებერებოდათ. ნიშანი აბრეშუმისმანდილიანმა მოგვცა და ადგილიდან მოვწყდით. უცებ შიშმა შემიპყრო: ცხენიდან გადმოვარდნა და ლოდზე სულის გაფრთხობა ერთი იქნებოდა. იაბოს სადავე მაინც მივუშვი. ლელაც დაჰკიოდა ლურჯას, ვაჟკაცივით დაჰკიოდა. მათრახს გამოცდილი მხედარივით აქნევდა ჰაერში. აღვირი თითქმის ყურებთან ეჭირა, წინ ოდნავ გადახრილიყო.

ერთხანს მხარდამხარ მივქროდით.

...გახელებულმა ვაჟმა მხრები გაშალა, ჩამოუქროლა, ისე ჩამოუქროლა, თითქოს ეს ესაა მოიტაცებს, ფრთიან რაშზე შემოისვამს და ცხრა მთას იქით გააქროლებს ვაჟი თანდათან ცხარობდა, მაგრამ სახე უფითრდებოდა, ილლებოდა, ეტყობოდა ილლებოდა, სახე უფითრდებოდა. ლელა სახეაწითლებული როკავდა ვაჟკაცურად, თამამად, ვაჟის არ ერიდებოდა.

მერე დაუთმო საცეკვაო ასპარეზი. ქალია და დაუთმო. ვაჟს რომ დაეთმო? აქ ვაჟები ქალებს არასოდეს უთმობენ. მაინც რომ დაეთმო? მერე რა.



არაფერი, სხვა გახელდებოდა, სხვა ჩამოაქროლებდა ფრთიან რაშს. მოიტაცებდა და ცხრა მთის იქით გააქროლებდა. იმ გაფითრებულს ალმაცერად გადახედავდნენ. ჟაჟურად ცეკვავდა ლელა და არ უნდა დაეთმო შეჯიბრი.

...კლდესთან ინსტიქტურად გზა ვუტიე ქალიშვილს, წინ გავუშვი. ლურჯა კიბესავით გამოკვეთილ კლდეზე მიხტოდა, ნალები ნაპერწკლებს ყრიდნენ. თმა ყალყზე მედგა, ჟრუანტელი მივლიდა, მაგრამ მაინც მივდევდი. არა, კი არ მივდევდი, ცხენს ვეღარ ვაჩერებდი. როცა ცხენი შეხტებოდა, ტახტას ორივე ხელით დავაფრინდებოდი, ან ფაფარში წავატანდი. ლელა მალიმალ მომხედავდა და გამიღიმებდა. ქარი თმას უწეწავდა. ყელზე მოხვეულ შარფს უფრიალებდა.

გზამ გაივაკა.

შვებით ამოვისუნთქე. საღარს სადავე მივუშვი, [illegible]ავუწრუპუნე. იაბო გაიძაბა, გაიჭიმა, კვალდაკვალ გაჰყვა ლურჯას.

მანძილი თანდათან მცირდებოდა.

ლელა დაჰკიოდა ცხენს, ქარი თმას უწეწავდა.

მანძილი ოთხიოდე მეტრით შემცირდა.

ორით...

ერთით...

ლაგამს ხელახლა მოვზიდე. ცხენმა თავი გაიქნია, ყალყზე შედგა. მისი დაოკება შეუძლებელი ხდებოდა; მომეჩვენა: მე კი არა, ჩემი საღარი დაენიძლავა ლურჯას.

...დოლ-გარმონი ახელებდა შექეიფიანებულ მაყრებს, საროკვაოდ უხილავი ძაფებით ეწეოდა ქალიშვილებს.

მერე იღლებოდნენ ბიჭებიც, ქალებიც. ბიჭებს ხანდახან მაინც უნდა დაეთმოთ, მაგრამ არ უთმობდნენ, ბიჭები არც ერთმანეთს უთმობდნენ, ზოგჯერ ცეკვაში ჩაუქრიდნენ. ვიღაც გაწბილებული მოცეკვავეთაგანი მიღმა დგებოდა და მათრახს ბღუჯავდა, ჩექმის ყელზე იტკაცუნებდა.

დოლ-გარმონი მთის ფერდობებს ერთმანეთს ახლიდა...

...ფრთებშესხმულს გავდა ლელა; ლოდებსა და ღორღებში დაკლაკნილ ბილიკზე ცხენს უშიშრად მიაჭენებდა. ფინიშამდე ცოტაღა დარჩა. სადავეს მივუშვი.

ლელას გავუსწორდი.

— სატიალევ!.. მუხლწასაქცევო! — დასჭყივლა ლურჯასა და მათრახი მკერდზე გადაუჭირა. ცხენმა სულ ოდნავ წაიწია წინ. ჩვენს შორის მანძილი კვლავ შემცირდა. ნელ-ნელა ჩამოვიტოვე ცხენის გაქაფული გავა, ამხედრებული ქალიშვილი, გაშლილი ფაფარი. ბოლოს თავაწყვეტით ჩავუქროლე ცხენის გადმოკარკლულ თვალებსა და დაცქვეტილ ყურებს.

მოვიხედე, გავუღიმე. იგი წინ გადაიხარა.

— დასაქმიწარო! — შესძახა და მათრახი ახლა გავაზე გადააწნა. ლაგამს კვლავ ნელ-ნელა მოვზიდე — ფინიში სულ ახლოს იყო. იქ გამხმარი, ტანდალვარჯლული და ძირგატრუსული ფიჭვი იდგა. დაგრეხილი და გაფხეკილი ორი ტოტი ხელებივით ჰქონდა აქეთ-იქით გაშვერილი. ლაგამს მთელი ძალით მოვზიდე. უკან გადავიხარე. საღარმა დაიფრუტუნა, გაიწია. ნება არ მივეცი.

გამხმარ ფიჭვთან ქალიშვილმა ლურჯა ყალყზე შეაყენა. ჩემმა იაბომ მიწა დატორა, მერე ყალყზე შედგა, შეთამაშდა, აქეთ-იქით აწყდებოდა.

ლელა ჩამოხტა, ცხენი გაატარ-გამოატარა.

იქნებ წეღან უხაროდა, ბიჭი რომ არ უთმობდა. იქნებ ისიც გაუხარდა, რომ ბიჭი დაიღალა და მერე თვითონ დაუთმო.

ლელას სახე აწითლებოდა, დაღლილი ჩანდა, ღრმად სუნთქავდა.

ცეკვის დროსაც სახეაწითლებული იყო, ალბათ მაშინაც ღრმად სუნთქავდა.

ჩემთვის არც შემოუხედავს, იქვე ლოდზე ჩამოჯდა; ჯერ გარბენილ ბილიკს გახედა, მერე მე მომიბრუნდა:

— კარგი ცხენი გყოლია...

— ჰო, კარგი ჩანს, — ვუპასუხე ისე, რომ არ ჩამოვქვეითებულვარ.

— კარგ ცხენს კარგი მხედარი უხდებაო, ამბობენ.

— ჰოო? — გამეცინა მე და რატომღაც მეგონა, რომ კარგ მხედრობას მიქებდა.

— ჰო, — მიპასუხა და მდინარისაკენ შეტრიალდა.

„იქნებ არ უნდოდა, ბიჭს რომ დაეთმო“ — გავიფიქრე. ვიდექი ცხენდაცხენ და ველოდი, რომ რაიმეს მკითხავდა. ბოლოს მე თვითონ გავბედე:

— სანაძლეო წაგაგე...

იგი მდინარეს დაჟინებით მისჩერებოდა, ჩემსკენ არც მოუხედავს, თითქოს გადავავიწყდი კიდეც.

ლაგამს მოვზიდე. გაფიცხებული ცხენი უმალ მოწყდა ადგილიდან.

მოვიხედე: ლელა ისევ ისე იჯდა და გაშმაგებულ წყალს მისჩერებოდა. მდინარე ღრიალით გარბოდა, ტალღები ლოდებს ლოკავდნენ. საღარი ფრთაშესხმულივით მიმაქროლებდა ვიწრო ხეობის სიღრმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნინო დოლიძე

60 წელი შეუსრულდა მწერალ ქალს — ნინო დოლიძეს. 60 წელმა ალბათ თავისი დაღი დაასვა ნინოს. მე მისი ახალგაზრდობა არ მინახავს, მაგრამ ამბობენ მომხიბვლელი იყოო. ახლაც მომხიბვლელია, მაგრამ თავისებურად. ეს რა თქმა უნდა, ის 15-16 წლის გოგონა აღარაა, სასწავლებლიდან გამოსული რომ შენიშნა რომელიღაც კინომუშაკმა, შენიშნა და მალე მაყურებელმა პერესტიანის პირველ ქართულ ფილმებში („სურამის ციხე“, „არსენა ჯორჯიაშვილი“) იხილა — ეპიზოდურ, მაგრამ შთამბეჭდავ როლებში, იხილა მისი დიდი, ჭკვიანი თვალები, ოდნავ მოდრეკილი წვრილი წარბები და თხელი სახე. ეს აღარც ის ქალიშვილია, საყვარელი ძმის — ვიქტორ დოლიძის ბრწყინვალე ოპერის „ქეთო და კოტეს“ წარმოდგენისას სიხარულის ცრემლებს რომ აფრქვევდა ლოჟაში... ეს არის ცხოვრებით დაბრძენებული, სასიამოვნოდ მოსაუბრე შუახნის ქალი, რომლის სულსა და გონებას ბევრი რამ შემორჩენია ძვირფასი მოსაგონარი, ძვირფასი არა მხოლოდ მისთვის, არამედ ჩვენთვისაც...

აი, წალვერისა და კეჩხობის წიწვნარში გარბის გოგონა, რომელსაც ერთი სული აქვს ჟანგბადის ბალიში აურბენინოს საყვარელ ძმას — ვიქტორს, იგი ავადაა და უნდა უშველოს დამ, უნდა მტლად დაედოს, თორემ, ხომ შეიძლება აღარასოდეს დაიწეროს მზით, სიცოცხლის სიყვარულით აჟღერებული „ქეთო და კოტე“, მამულის სანთლად ასაბრიალებელი „ლელა“, „ცისანა“, და გოგონაც მირბის პატარა აგარაკზე, სადაც სიცხიან ძმას შთასახული მელოდიები უფრო მეტად უკიდებენ ცეცხლს. რამდენიმე დღის მერე ოჯახი კვლავ სიხარულით მიემართება მჟავე წყლისაკენ. დაქანებულ ბილიკზე წინ ვიქტორი მიდის თავისი საყვარელი ვიოლინოთი. იგი მთელი ფილტვებით ისუნთქავს წიწვნარის გრილ, მაცოცხლებელ ჰაერს და პატარა ნინოც ბედნიერია. აი, ვიქტორმა შეწყვიტა მხიარული ლაპარაკი და სადღაც განმარტოვდა. ნინომ იცის, რომ იგი ახლა წიწვნარში მიმალული უკრავს საყვარელ ვიოლინოზე. და ანცი ბავშვები ცნობილ პოეტს — იოსებ გრიშაშვილს ეწევიან ვიქტორის სამალავისაკენ. იოსებს ფოტოგრაფი ახლავს და ყველა შეთქმულივით ჩუმად ეპარება იდუმალ ხმებში ჩაძირულ ვიქტორს. წამიც და... ასე შემოენახა შთამომავლობას ვიქტორ დოლიძის ცნობილი სურათი: ნაძვნარში დგას ახალგაზრდა, გამხდარი კაცი და ვიოლინოზე უკრავს.

პატარა, ანცო გოგონავ და ხანდაზმულო მწერალო ქალო — ნინო დოლიძევ, მარტო ამ სურათისათვისაც გეკუთვნის მადლობა! ბევრმა შენმა მკითხველმა არ იცის ეს ამბავი. სამაგიეროდ შენი მკითხველი იცნობს სამამულო ომის თემაზე დაწერილ მოთხრობებს: „გულმავიწყა“, „ზინინკა“, „ოთხნი“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „მაკა“ და სხვა, რომელთაც სამამულო ომის მძიმე წლებში ქართულმა კრიტიკამ და საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცეს. ასევე უყვარს მკითხველს მოთხრობა „ჭადრები ახალშენზე“, რომლის თემაც ახალი ქვეყნის მშენებლობაა... განსაკუთრებით უყვარს ნორჩ მკითხველს „ამბავი გოგია-ბიჭისა“. გაჭირვებაში, დაყვედრებულ ლუკმაზე გაზრდილი ბიჭი გოგია რა სიცოცხლითა და თბილი ჰუმორის გრძნობითაა დახატული. მარდი, ცქვიტი, მოხერხებული, საზრიანი. ნამდვილი გურული ბიჭუნაა, რომელიც ყოველთვის მზადაა საყვარელი კრიმანჭული შემოსძახოს. თვითონაც კრიმანჭულსა ჰგავს თითქოს — სუფთას, კრიალას, მაღალს... და ბიჭი გოგია ბავშვობიდანვე ადგება უფროსების, ახალთაობის მიერ არჩეულ გზას — სიმართლის გზას. არ შეიძლება წაიკითხოთ ეს წიგნი და მერე დაივიწყოთ ბიჭი გოგია.

ნინო დოლიძე იოლი გზით არ მისულა ოსტატობამდე. იგი ბევრს მუშაობდა, სწავლობდა, მუსიკასაც ეწაფებოდა, ჯერ მოსკოვში, შემდეგ თბილისში, სადაც მისი მეგობრული ოჯახი სავსე იყო ვიქტორის მელოდიებით, გამრჯე მამის გაშლილი გულით და სათნო დედის ზრუნვით. ოჯახი ხშირად დადიოდა მშობლიურ გურიაში, ოზურგეთში, ლიხაურში, და იქიდან თუ გამოჰყვათ ახალგაზრდებს სწრაფი მდინარეების ხმაური, კოინდარის ბიბინი, გურიის მთების სიყვარული. ნინოს მთელი გულით მოწონდა ქართული ხალხური ზღაპრები თუ არაკი, ლექსი თუ შაირი. ამიტომაც მწერლობაში პირველად „წიქარასა“ და „კოკროჭინას“ შემოჰყვა. მოსკოვის ლიტერატურული გაზეთის ლიტმუშაკს დრო მაინც რჩებოდა იმისათვის, რომ რუსულად აემეტყველებინა ჩვენი ზღაპრების გმირები, აეშრიალებინა მზეთუნახავის ოქროს თმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნაცარქექიას ოინები გაეჯღაურებინა. ბევრი დრო და შრომა იყო ამისთვის საჭირო, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა შეძლო სიყვარულით შეეგროვებია, დაემუშავებია და ეთარგმნა ჩვენი საუნჯე. და 1937 წელს რუსმა მკითხველმა პირველად იხილა ქართული ზღაპრების წიგნი. მას შემდეგ ეს წიგნი არაერთხელ გამოცემულა, საუკეთესოდ გაფორმებული სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის, თუ სერგო ქობულაძის მიერ.

თბილისში დაბრუნებულმა ნინო დოლიძემ კვლავ გააგრძელა მთარგმნელობითი მუშაობა და რუს მკითხველს გააცნო ლ. არდაზიანის და რაჟდენ გვეტაძის შემოქმედების რამდენიმე ნიმუში. მერე კი, ზოგიერთი მეგობარი მწერლის რჩევით, საკუთარ მოთხრობებზე დაიწყო ფიქრი... პირველი ნათლობა რადიოში მიიღო, სადაც ფსევდონიმით გაგზავნა მოთხრობა. ეს იყო 1941 წელი. და იმდროინდელ მის შემოქმედებას ომის სუნთქვა ახლავს თან. მისი გმირები სანგრებში არიან, ჰაერში იბრძვიან, ან ტყეში პარტიზანებთან ერთად დააბიჯებენ.... და განა მარტო მისი გმირები! მთელი ქართული მწერლობისათვის იმ წლებში სხვა რამ უკეთესი და წმინდა თემა არ არსებობდა. რამდენს მთრთოლვარებით წაგვიკითხავს „კაპიტანი ბუხაიძე", რამდენს სევდიანად გვიმღერია სიმღერა შალამბერიძესა და ჯინჭარაძეზე, ჭიჭიკო ბენდელიანზე. გახსოვთ, ბრწყინვალე ლირიკოსი, ჩვენგან ადრე წასული ალექსანდრე საჯაია, რომელმაც მირზა გელოვანსა, რევაზ მარგიანსა და ლადო ასათიანის ლექსებთან ერთად ომახიანად ააგუგუნა „კაპიტანი" და „ოლეგ კოშევოი"? ვინ იცის, სწორედ ამ საერთო შემოქმედებითმა გატაცებამ დააახლოვა და დაამეგობრა ერთმანეთს ნინო დოლიძე და ალექსანდრე საჯაია? მაგრამ ერთი ბედნიერი წელიც არ გაუტარებიათ ერთად ახლადშეუღლებულთ. სვანეთის მთებიდან ჩამოასვენეს მეგობრებმა სამუდამოდ დადუმებული ოდიშელი ბიჭი, ჩამოასვენეს ისე, რომ მას ერთხელაც არ უნახავს თავისი პატარა არჩილი. ახლა დავაჟკაცებული სტუდენტი — არჩილ საჯაია თავად იღებს მამის სურათის ფოტოპირებს. დედა შესცქერის და ფიქრობს — „რა უგავს მამისას ამ ბიჭს? თვალები? თმა? ამბობენ, მამის ხატება არისო". მერე ნინო დოლიძე ჩუმად დგება და სამუშაო მაგიდასთან მიდის. აქ მრავალი ფურცელია გადაშლილი, ზოგი უკვე გადაბეჭდილი, ზოგი ნაჩქარევი ხელით ნაწერი. „ჩემი ძმა — ვიქტორ დოლიძე" აწერია თავფურცელს. წავიკითხე ეს წიგნი და მრავალი ფიქრით დამძიმებულმა დავხურე იგი. შემოქმედება წვაა მხოლოდდამხოლოდ. და შემოქმედებითი გზა არაა მთლად ვარდებით მოფენილი.— მითხრა ამ წიგნმა. ესაა მეტად ოსტატურად დაწერილი წიგნი: კომპოზიტორის ცხოვრების საკმაოდ მძიმე გზას მაინც „ქეთო და კოტეს" აელვარებული ჰანგები გასდევს თითქოს. და წიგნიც მთლიანი სიმღერაა ადრე ჩაფერფლილი კაცის სულისა. ალბათ ჩვენი მკითხველი მალე იხილავს მას. „ჩემი ძმა — ვიქტორ დოლიძე" მრავალთა საყვარელი წიგნი გახდება. ჭეშმარიტად, სხვას ვის უნდა დაეწერა მასზე, თუ არა მის საყვარელ დაიკოს — ნინო დოლიძეს.

ნაზი კილასონია

იონა ვილინსკა

# ხერხი სჯობია ღონესა...

იუმორესკა

ინსპექტორი ანატოლი კოვალიკი, რომელსაც თანამშრომლებმა ზედმეტ სახელად „მკაცრი კაპიტანი" შეარქვეს, შინ მისვლისთანავე თავის ამორჩეულ სავარძელში ჩაესვენა.

— უჰ, — ამოისუნთქა შვებით და ფეხები ფოსტლებში გაუყო. — რა სჯობია ოჯახში წყნარად გატარებულ შაბათის გრძელ საღამოს!

— ცხადია, ტოლიკ, — კვერი დაუკრა ქალბატონმა ალიამ, მკაცრი კაპიტნის ცხოვრების ერთგულმა თანამგზავრმა.

— ვახშმად რა გვაქვს? — დაინტერესდა ინსპექტორი.

— შენი საყვარელი ბიტკი, ჩემო ძვირფასო, — მიუგო ალიამ და პალტო მოიხურა. — მაღაზიაში მივრბივარ, შენს სანუკვარ ბურგუნდულ ღვინოს მოვიტან.

ანატოლიმ სიამოვნებით მოიფშვნიტა ხელები. ინსპექტორს მთელი კვირის მანძილზე ფიქრადაც არ მოსდიოდა სპირტიანი სასმელის მიღება. „ჩვენ ვიღაც ფოსტის მოხელეები ხომ არა ვართ, — უყვარდა ხოლმე თქმა, — ყოველ წუთს შეიძლება მოხდეს რაიმე საიდუმლოებით მოცული დანაშაული, რომლის გამოძიებაც სავსებით ნათელ გონებას საჭიროებს". მაგრამ, შაბათ საღამოს კი, ინსპექტორი კოვალიკი თავს ნებას აძლევდა ერთი-ორი ჭიქა გადაეკრა.

როგორც კი ცოლმა კარი მოიხურა, ინსპექტორმა თაროდან ენციკლოპედიის ის ტომი გადმოიღო, რომელიც ასო „კ"-თი იწყებოდა. წინა ტომები უკვე ჩაბულბულებული ჰქონდა. გაგიჟებით უყვარდა მათი კითხვა: „ეს სწავლაც არის და დასვენებაც," — იტყოდა ხოლმე. კანტი... კვორუმი... სწრაფად ჩაათვალიერა. კენტავრი... ჰმ... მითოლოგიური პერსონაჟი, ნახევრად ცხენი, ნახევრად...

მაგრამ აღარ დასცალდა გაეგო, რას წარმოადგენდა კენტავრის მეორე ნახევარი, რადგან იმავ წუთს ტელეფონმა დარეკა. ინსპექტორმა უნიათოდ აიღო ყურმილი.

— პან ინსპექტორი კოვალიკი ბრძანდებით? — გაისმა ყურმილში უცნობი ხმა.

— დიახ. ვინ ლაპარაკობს?

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. მე მინდოდა მხოლოდ პან ინსპექტორი გამეფრთხილებინა: დღეს გრებცოვის კლუბში მეჯლისია, სადაც თქვენ დაუყოვნებლივ უნდა მიბრძანდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, საშინელება დატრიალდეს.

— არა, არ შემიძლია, — იუარა ინსპექტორმა, — ჩემი სამუშაო დღე დამთავრდა და მე დასვენების უფლება მაქვს. მაინც, ვინ ლაპარაკობს?

— სულ ერთი არ არის? ვინ და — სამართლიანობის მეგობარი. თქვენთვის მაგიდა შეკვეთილია, პირველ დარბაზში, ფანჯარასთან. ღვთის გულისათვის, გთხოვთ, ეცადოთ თვალში არავის მოხვდეთ. თავი ისე დაიჭირეთ, თითქოს სამსახურებრივი მოვალეობის გამო კი არა, არამედ ისეთივე ჩვეულებრივი სტუმარი ბრძანდებით, როგორც სხვა დანარჩენი. მშვიდობით.

ინსპექტორმა ყურმილი დასდო. ამ საღამოს შინიდან გასვლას არ აპირებდა, მაგრამ ტელეფონის ზარმა სულ ჩაუფუშა საშაბათო გეგმები.

— აბა, გახსენი, ტოლიკ, — უთხრა ცოლმა და მაგიდაზე ღვინის ბოთლი დაუდგა. მაგრამ ტოლიკს ღვინის ჯავრი აღარ ჰქონდა. მოვალეობის გრძნობამ სძლია მკაცრი კაპიტანის გულს.

— მისმინე, ალიუნია, — მტკიცედ უთხრა ცოლს, — მგონი, გაქვს რაღაც გულამოღებული კაბა... ერთი სიტყვით, შეგიძლია ისე ჩაიცვა, როგორც მეჯლისზეა საჭირო?

— მეჯლისზე მივდივართ?! — გაკვირვებით წამოიძახა ალიამ, — თხუთმეტი წელიწადია ერთად არსად ვყოფილვართ, ტოლიკ, მოდა, რა თქმა უნდა, რამეს გამოვნახავ.

— საქმეს ვერაფერს ვხედავ, — ჩაუჩურჩულა ინსპექტორმა მეუღლეს ცეკვის დროს და დარბაზს თვალი მოავლო, — შენ თუ ამჩნევ რამეს? წამოდი საჰაერო ბუშტს გიყიდი. თუ შენიღბვაა, დაე, შენიღბვა იყოს.

ცოლ-ქმარი კოვალიკები დილის ექვს საათზე დაბრუნდნენ შინ.

— ძილი არ მეკარება, — დაიჩივლა ინსპექტორმა, — სულ იმაზე ვფიქრობ, რა შეიძლებოდა იქ მომხდარიყო. ჩემი აზრით, ყველაფერი რიგზე იყო.

— ეს იმიტომ, რომ შენ იყავი იქ, ტოლიკ, შენი თანდასწრებით კი მათ ვერაფერი ვეღარ გაბედეს, — მიუგო ალიამ.

ტოლიკმა აღარა უპასუხა რა. მკაცრ კაპიტანს იმ ადამიანის ძილით ჩასძინებოდა, რომელმაც პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა.

ალია ფეხაკრეფით მივიდა საწერ მაგიდასთან, ერთი ფურცელი ქაღალდი და კალმისტარი აიღო და სამზარეულოში მარცხენა ხელით რამდენიმე სიტყვა წაჯღაბნა:

„პან ინსპექტორ! დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ ზაკოპანის სასტუმრო „შაროტკაში", ვინმეს ყურადღება რომ არ მიიპყროთ, თან წაიყვანეთ მეუღლე და წაიღეთ თხილამურები. ეცადეთ, არაფრით გამოირჩეოდეთ".
„სამართლიანობის მეგობარი".

მერე ქალბატონმა ალიამ უთო გაახურა და თავისი ძველი სათხილამურო შარვლის წესრიგში მოყვანა დაიწყო.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა.



# მღერის მედეა ამირანაშვილი

„... ქართველ მომღერალს მომაღლებული აქვს ყველა ის დიდებული თვისება, რაც მოეთხოვება ექსტრა კლასის საოპერო მომღერალს..."
„რუდე პრავო" (ჩეხოსლოვაკია).

„მისი ლეონორა ბრწყინავს სპექტრის ყველა ფერით, გხიბლავს თავშეკავებული კეთილშობილება და სიფაქიზე, მოსიყვარულე ქალის რომანტიკული შემართება, რომელსაც შეუძლია უდიდესი თავდადება ულიმღამო შუა საუკუნეების პირობებში".
„ოტეჩესტვენ გლას" (ბულგარეთი).

„უეჭველად საუცხოოდ გაწვრთნილი ვოკალისტია, აქვს მჟღერი, ფერადოვანი სოპრანო, რომელშიც შესანიშნავი ტემბრული თვისებები საუცხოოდაა შეხამებული მსუბუქ სპონტანურ ხმოვან ემისიასთან და რეგისტრულ სიდინჯესთან".
„ნაროდნა კულტურა" (ბულგარეთი).

„ნამდვილად გაგვიტაცა მან „ტრუბადურში". რა ლამაზი, თანაბარი ხმა აქვს, რა ბუნებრივია მსახიობის „ვოკალური მეტყველება", არავითარი დაძაბულობა რეგისტრებში, რა რომანტიკულად აქვს გააზრებული თავისი გმირის მუსიკალური და სცენური სახე". (პოლონეთი).

ასეთი აღფრთოვანებული რეცენზიებით ბრუნდება საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. სად არ ყოფილა, რომელი ქვეყნის საოპერო სცენაზე არ უმღერია: პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია... ბრუნდება და კვლავ მშობლიური თეატრის სცენაზე მღერის. მღერის გატაცებით. მისთვის არ არსებობს რიგითი სპექტაკლი და პრემიერა. იგი ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება ყოველ თავის გამოსვლას სცენაზე. იცის, ეს ბავშვობიდანვე აქვს შთაგონებული, მაყურებელს არ გამოეპარება არც ერთი შენი ზერელე მოქმედება. ამას უნერგავდნენ დედა და მამა — სახელგანთქმული მომღერლები ნადეჟდა ცომაია და პეტრე ამირანაშვილი. მედეას არ ახსოვს სპექტაკლი, რომ იქ, სადღაც არ ეგულებოდეს დედა. მამა კი... მამა ხომ მუდამ მის გვერდითაა. სპექტაკლის დაწყების წინ ჯერ საგრიმიოროში შეუვლის. ერთ-ორ სიტყვას ეტყვის, ისეთს, რომ მედეას მთელი სპექტაკლის მანძილზე ახსოვს. და თუ სცენაზეა, კულისებიდან გრძნობს მამის გამამხნევებელ თვალს. ყველაზე დიდ შემოქმედებითს სიხარულსა და ბედნიერებას კი მამაშვილი მაშინ გრძნობს, როცა ერთად მღერიან სცენაზე. ეს რაღაც გამოუთქმელი, უაღრესად დიდი შეგრძნებაა, როცა შენს გვერდით დგას შენი პირმშო, შენი ქალიშვილი; იგი შენს ყოველ მოძრაობას, შენს ყოველ სურვილს გრძნობს და არაჩვეულებრივად გეადვილება სიმღერა. ერთმაც და მეორემაც საუცხოო პარტნიორი პოვა.

...როცა ტაშის ხმა მიწყდება გაჩირაღდნებულ დარბაზში, როცა უკანასკნელი მაყურებელი გადის დარბაზიდან, დედა მაინც აქ არის, ყველაზე ახლობელი, ყველაზე სანდო. ის აქვეა და ელის ქალიშვილს. ის კი კულისებში იხდის ლეონორას, ხან მიმის, ხან მარგარიტას კაბას, იშორებს გრიმს და... ისევ მედეაა. გულისხმიერი, ამხანაგების მოყვარული, თავმდაბალი ადამიანი, სასიამოვნო მოსაუბრე, კარგი დედა.

მერე კი მიდის ვარსკვლავებით მოჭედილ თბილისის ქუჩებში. ჰაერი ისე სუფთაა და გამჭვირვალე... ალბათ, არავინ ისე არ გრძნობს მშობლიური ქალაქის იდუმალებით მოცულ ღამეს, როგორც მსახიობი. ათასი ფიქრი მოდის, ათასნაირი გრძნობა გეუფლება. მხოლოდ თეატრიდან გამოსვლისას, ქუჩაში გრძნობ, რომ აღარა ხარ ჩიო-ჩიო-სანი თუ მარგარიტა; თითქოს ეს ღამე, ვარსკვლავებით მოჭედილი ღამე, მხრებიდან ჩამოგხსნის შენი გმირის ტვირთს და თავისუფლად ამოისუნთქავ. და გინდა, რატომღაც სპექტაკლის შემდეგ განსაკუთრებით გინდა, გაგრძელდეს ღამე, სახლამდე დაუსრულებლად მოგყვებოდნენ ვარსკვლავები და ათას რაღაცაზე გესაუბრებოდნენ, გინდა იყოს ჰაერი სუფთა, გამჭვირვალე და გაგრძელდეს გზა სახლამდე.

...თოჯინები არასოდეს არ ჰყვარებია. ამირანაშვილების სახლში ერთი ოთახიდან სულ მშობ-

ლეონორა — „ტრუბადური".



მარო — „დაისი".



ლების სიმღერა ისმოდა — ისინი მეცადინეობდნენ, ან სხვას უსმენდნენ, მეორე ოთახიდან კი მედეასა და მისი ამხანაგი გოგონების ჟრიამული გამოდიოდა. ასე გაიდა ბავშვობა — ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე გაჭიმული ფარდა და სასცენო ფაციფუცი, და როცა „ჩიო-ჩიო-სანში" პატარა ბიჭის როლი შეასრულა, როცა მშობლების მიბაძვით შინ სიმღერა დაიწყო, მაშინ კი წაიყვანა დედამ ოლღა ალექსანდრეს ასულ ბახუტაშვილ-შულგინასთან, ცნობილ მომღერალსა და პედაგოგთან. თხუთმეტი წლიდან დაიწყო მეცადინეობა მუსიკალურ ათწლედში. შემდეგ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის პერიოდი (1949-1954 წლები). სახელგანთქმული მომღერლის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის სანდრო ინაშვილის ხელმძღვანელობით მედეა ამირანაშვილი წარმატებით ეუფლება ვოკალურ ტექნიკას. აქ გამოვლინდა პირველად მისი ნიჭი, აქ შენიშნეს პირველად მისი მუსიკალურ-ვოკალური და აქტიორული მონაცემები. 1952 წელს მესამე კურსის სტუდენტი მედეა ამირანაშვილი საოპერო სტუდიის სცენაზე „აბესალომ და ეთერში" მარეხის როლს ასრულებს. ეს იყო პირველი წარმატება. მას მოჰყვა მეორეც: საოპერო სტუდიის სცენაზე მედეამ შექმნა ტემპერამენტული, ფიცხი ზემფირას სახე, რახმანინოვის ოპერა „ალეკოში". 1954 წელს კი მან უკვე დიდ სცენაზე იმღერა მარგარიტას პარტია „ფაუსტში". ეს იყო მისი წარმატებითი დებიუტი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. ამ დღიდან მედეა ქართული საოპერო დასის სოლისტია. ამ დღიდან იწყება მისი ბეჯითი შრომა. მედეა ისეთი შემოქმედია, რომ არასოდეს კმაყოფილდება მიღწეულით, ყოველთვის ახლავს ზომიერების ალღო, მუდამ აქტიორული გარდასახვის პროცესშია, მაგრამ, ამასთან, არასოდეს კარგავს თვითკრიტიკის უნარს. იგი საოცრად სწორად აგებს თავისი გმირების ინდივიდუალურ, ემოციურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს, ღრმად სწვდება მათი გრძნობების სამყაროს. ამიტომაა ასე მრავალფეროვანი მისი გმირების გალერეა: სპეტაკი და ფაქიზი მარო („დაისი"), შეუპოვარი და სათნო მზია („მინდია"), კეთილშობილი და ერთგული ბატერფლაი („ჩიო-ჩიო-სანი"), სუსტი და საყვარელი ადამიანისათვის თავდადებული მიმი („ბოჰემა"), დაუდეგარი ნედა („ჯამბაზები"), მეოცნებე და ნაზი ტატიანა („ევგენი ონეგინი"), ვიოლეტა, იოლანტა... და ბოლოს, ყველაზე სრულყოფილი და მაღალმხატვრული ლეონორას პარტია „ტრუბადურში". მაღალი რეგისტრის რბილი, წკრიალა, დაბალი რეგისტრის ძლიერი, თითქმის მეცოსოპრანული ჟღერადობა, თავისუფალი კოლორატურა და მჩქეფარე კანტილენა — ყოველივე ამას მომღერალი უქვემდებარებს გამომსახველობით ამოცანას, თავისი გმირის მდგომარეობასა და ძლიერი, მოსიყვარულე ქალის სახის გახსნას.

და ასეა მუდამ. მიღწეულით ვერ კმაყოფილდება. ყოველი დღე სავსეა ძიებით, სავსეა ცდებით, ყოველ დღეს მოაქვს რაღაც ახალი, შთამაგონებელი, დიდი. და როცა შენს გვერდით არიან შესანიშნავი ოსტატები, როცა ყოველ შენს მიგნებულ შტრიხსა თუ დეტალს მახვილი, გამოცდილი ყურით ისმენენ შენივე საკუთარი მშობლები — გამოჩენილი მომღერლები—უფრო გიადვილდება და ამავე დროს ძნელდება კიდეც სიმღერა. და რომელ სცენაზეც არ უნდა მღეროდეს მედეა, მისი ყველაზე მკაცრი მსაჯული, კეთილი მრჩეველი და საყვარელი პარტნიორი მამაა. მასთან ერთად სიმღერა ხომ მუდამ პასუხსაგებია, სასიხარულო.

დრო მიდის. და უცებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხანგრძლივი გასტროლების შემდეგ ბრუნდები შინ, მოულოდნელად ამჩნევ, როგორ წამოიზარდა შენი გოგონა, უკვე სიმაღლით დაგეწია, უკვე თოთხმეტი წლისაა. ერთ მშვენიერ დღეს კი მეზობელი ოთახიდან ისმის მანანას გაუბედავი სიმღერა და გულს ბაგა-ბუგი გაქვს. „ღმერთო ჩემო... მანანაც?!" — ფიქრობს დედა.

მანანა კი ჩუმ-ჩუმად მღერის და გულში გადაწყვეტილი აქვს: მეც დედასავით, ბებიასა და ბაბუასავით მომღერალი გავხდებიო.

ლია გოგიშვილი



„ტრავიატა". ვიოლეტა—მ. ამირანაშვილი, ალფრედი—ს. ლემეშევი.



მარგარიტა — „ფაუსტი".



ტატიანა — „ევგენი ონეგინი".



ბატერფლაი — „ჩიო-ჩიო-სანი".

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბავშვთა პრობლემებისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია

1966 წლის 3-6 ნოემბერს შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში ჩატარდა ბავშვთა პრობლემებისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია. მასში მონაწილეობდა სამოცდაორი ქვეყანა და თორმეტი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი. კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ მშობლები, პედაგოგები, ექიმები, სოციალურ დაწესებულებათა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა მუშაკები, მხატვრები, ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის ცენტრის მუშაკები, სხვადასხვა გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

მსოფლიო კონფერენციამ ბავშვთა პრობლემებთან დაკავშირებით მიიღო მიმართვა, რომელშიც ნათქვამია:

„განა მოსათმენია, რომ ჩვენს ეპოქაში, მეცნიერების უმაგალითო მიღწევათა და ტექნიკის არნახული განვითარების ეპოქაში, 6 მილიონზე მეტი ბავშვი შიმშილობს, უამრავი ბავშვი რჩება უსწავლელი, მილიონობით ბავშვი ცხოვრობს ღია ცის ქვეშ და არაჰიგიენური პირობებისა და სამედიცინო დახმარების უქმარისობის გამო ეპიდემიების მსხვერპლი ხდება?

განა საშინელება არ არის, რომ დღეს მილიონობით ბავშვი ეწირება რასიზმს სამხრეთ აფრიკაში, როდეზიაში, ანგოლასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ ისინი გამუდმებულ შიშსა და კოშმარებში ცხოვრობენ, ყოველ წუთს ელიან ცეცხლსა და ყუმბარებს, როგორც ამერიკელ აგრესორთა მსხვერპლნი, ვიეტნამელი ბავშვები?

და განა ის ბავშვები, რომლებიც არ შიმშილობენ და მშვიდობიანად ცხოვრობენ დაზღვეულნი არიან ახალი ომის მოსალოდნელი საფრთხისაგან? აი, სწორედ ამიტომ ვალდებული ვართ ისე მოვიქცეთ, ისეთი პირობები შევქმნათ, რომ დღევანდელი ბავშვები იქცნენ ადამიანებად, რომელთაც უნარი ექნებათ ეფექტურად შეუწყონ ხელი კაცობრიობის პროგრესს“.

მსოფლიო კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1959 წელს მიღებულ ბავშვთა უფლებების დეკლარაციას, მაგრამ სამწუხაროდ, ეს დეკლარაცია ჯერჯერობით ისე არ ხორციელდება, როგორც საჭიროა.

„ბავშვთა განვითარებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა, — ნათქვამია მიმართვაში, —ესაა უმთავრესი კოლექტიური ამოცანა, რომელიც ყველა მოქალაქის, ყველა ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტის ქმედითობას საჭიროებს, მათი მეშვეობით უნდა გამომჟღავნდეს უკლებლივ ყველა ქვეყნის სოლიდარობა, ქალების, ახალგაზრდების, პროფკავშირული ორგანიზაციების სოლიდარობა. ეს სოლიდარობა გამოიხატება მორალურსა და მატერიალურ დახმარებაში სუსტად განვითარებული სახელმწიფოებისადმი, ჩაგრული ხალხებისადმი. იმ ხალხებისადმი, რომლებიც თავიანთი განთავისუფლებისათვის იბრძვიან, და აგრეთვე ეკონომიურსა და კულტურულ გაცვლა-გამოცვლაში.

ყველას ვალია უფრო აქტიურად და კომბინირებულად მოემსახუროს ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს“.

მიმართვაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საყოველთაო და სრული განიარაღება, ხელს შეუწყობს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას, შექმნის საფუძველს ხალხთა ჭეშმარიტი თანასწორუფლებიანობისათვის, გაათავისუფლებს უამრავ მატერიალურ რესურსებსა და ადამიანებს, მშვიდობის მიზნებს მოახმარს მათ, ბავშვთა და მთელი კაცობრიობის სამსახურში ჩააყენებს მეცნიერებას.

კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ სახელმწიფოთა მთავრობებმა თავიანთი პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა უზრუნველყონ ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე, განათლებაზე, პროფესიულ მომზადებასა და დასვენებაზე, უფლება მომავალზე დემოკრატიის პირობებში და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა ხალხთა შორის მეგობრობის პირობებში.

კონფერენციამ მოუწოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოსთხოვონ თავიანთ მთავრობებს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის დაცვა აქციების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით ადგილობრივ პირობებთან შესაბამისად. მათ უნდა იბრძოლონ ჩვენი ბავშვების მომავლისათვის, ისეთი მომავლისათვის, რომელშიც სამუდამოდ მოისპობა შიმშილი, უცოდინარობა, ჩაგვრა და ომი.

მიმართვაში ნათქვამია აგრეთვე, რომ მთელი მსოფლიოს ხალხთა სიბრძნე, სამართლიანობა, უფლებები და ინტერესები, ბავშვებისა და ახალგაზრდობის უფლებები და ინტერესები მოითხოვს შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში, შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, გამოყვანილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები და მათი სატელიტები სამხრეთ ვიეტნამიდან.

კონფერენციის მონაწილეებმა ვიეტნამის საკითხთან დაკავშირებით შეიმუშავეს საგანგებო დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წაუკითხეთ პატარებს

აკაკი ართილაყვა

### მზია

მზიას დედა დილით სამუშაოზე წავიდა. მარტო დარჩენილმა მზიამ სამზარეულოში ჭურჭელი გარეცხა, გაამშრალა და თავისი ადგილი მიუჩინა, შემდეგ კარზე მომდგარ ბროლიას პურის ნატეხი გადაუგდო, კატას რძე დაუსხა ლამბაქზე და კუთხეში მიუდგა არც ნაცარა ქათმები დატოვა უყურადღებოდ, რამდენიმე პეშვი ხიმინდი იმათაც დაუყარა.

„ახლა საქმე აღარაფერი მაქვს“, — გაიფიქრა გოგონამ, სახლიდან ზღაპრების ახალი წიგნი გამოიტანა, ხის ქვეშ ჩამოჯდა და კითხვას შეუდგა.

ჯერ ერთი გვერდიც არ ჰქონდა წაკითხული, რომ ქუხილის ხმა შემოესმა. მაღლა აიხედა, ცა შავი ღრუბლებით იყო დაფარული. კიდევ იქუხა და აქა-იქ წვიმის მსხვილი წვეთები გადმოცვივდა.

მზიამ მეზობლის ეზოსკენ გაიხედა. იქ ბებია ტასოს სარეცხი გაეფინა, ეზოში კი არავინ ჩანდა, რომ სარეცხი აეკრიფა. მზია მაშინვე ღობეს გადაევლო, გაკიდებულ სარეცხთან მიირბინა და ბებია ტასოს დაუძახა:

— ტასო ბებია, წვიმა მოდის, სარეცხი დაგისველდებათ!

ხმა არავინ გასცა. მეორე ძახილზე კი ოთახის კარმა გაიჭრიალა. აივანზე მხრებში მოხრილი ბებია ტასო გამოვიდა.

— წვიმა მოდის, სარეცხი დაგისველდებათ! — ისევ გასძახა მზიამ და სარდაფში შეირბინა, სკამი გამოიტანა, ზედ შედგა და სარეცხის ჩამოხსნა დაიწყო. ამასობაში ბებია ტასოც მოვიდა.

ის იყო, საქმეს მორჩა, რომ წვიმამაც დაუშვა.

— შენ, გაიხარე, შვილო, შენ რომ არ გეშველა, სარეცხი ხელმეორედ გასაშრობი გამიხდებოდა, — უთხრა გოგონას ბებია ტასომ.

### კანფეტები

ლია ეზოში ტოლებთან თამაშობდა. ამ დროს სამუშაოდან მამა დაბრუნდა და კანფეტები მოიტანა. ლია თამაშობას რომ მორჩება, მერე გადავცემო, — გაიფიქრა და ქაღალდში შეხვეული კანფეტები კარადაში შეინახა. თვითონ კი ცოტა ხნით მეზობელთან წავიდა.

თამაშს რომ მორჩა, ლიამ ოთახში შეირბინა და შემთხვევით კარადა გამოაღო.

— უჰ, რამდენი კანფეტია! — წამოიძახა ლიამ, როცა ქაღალდის შეკვრა დაინახა.

გოგონამ ერთი ორი ცალი უმალვე პირისაკენ გააქანა, დანარჩენს კი ხელი არ ახლო. „მამას შევუნახავ, გაეხარდებაო“. ქაღალდის შეკვრა აიღო და იქვე მაგიდაზე დასდო.

შინ შემოსულ მამას გახარებული ლია კანფეტებით ხელში მიეჭრა და უთხრა:

— მამა, აი, რამდენი კანფეტი მოუტანია დედას.

მამას გაეცინა: — მერე ხელი რატომ არ გიხლია, შენ ხომ გიყვარს კანფეტები.

— შენთვის შევინახე.

— არა, ეს კანფეტები მე თვითონ მოვიტანე შენთვის. თუ ასე გულით გინდა სხვასაც უწილადო, მაშინ შენ ტოლ-მეგობრებს გაუნაწილე, — უთხრა მამამ.

ნანა გვარიშვილი

### ზღვასთან

ზღვა კვიცივით დახტუნავს,
რბის და ერთ ამბავშია,
უხარია: ნაპირზე
ეს რამდენი ბავშვია?!

### გიას თევზაობა

თევზაობდა ბიჭუნა
ჯოხითა და კანაფით,
მუხლი გადაიტყავა
მართლაც ძალისძალათი.

სახლში გვიან მივიდა
მკვეხარა და ამაყი,
დიდი ქილით მოჰქონდა
პაწაწინა ბაყაყი.

### მარინე და ქოლგა

დასკუპულა ნაპირზე,
დედოფალას მოგავს,
მზესუმზირა ახურავს
თუ პატარა ქოლგა?!

გადაიწევს მალიმალ
და მზეს გაუჭყიტავს;
მზეო, მზეო, მზეწვია
ჭიტა!

### ზღვა

პაწაწინა ზაზულის
სხვა რა უნდა, სხვა,
ჭრელა-ჭრულა კენჭები,
ჭუპა-ჭუპა ზღვა.



### პატარა მუსიკოსი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კინოჟურნალ „პიონერში“ მაყურებლებმა პატარა ნანა გაბაშვილი იხილეს, 4 წლის გოგონა თამამად მივიდა ფორტეპიანოსთან და შეასრულა... საკუთარი ნაწარმოებები.

ეს განსაცვიფრებელი მუსიკალური ნიჭის მქონე გოგონა უკვე ორი წლიდან იქცევდა უფროსთა ყურადღებას. სამი წლისას კი კონსერვატორიის პროფესორებმა და კომპოზიტორებმა მოუსმინეს. ისინი მოიხიბლნენ ნანას საკუთარი მელოდიებით. პროფესორები თამარ ჩხარტიშვილი და პავლე ხუჭუა, კომპოზიტორები ოთარ თაქთაქიშვილი, მერი დავითაშვილი და სანდრო მირიანაშვილი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მათ წინ იდგა ნიჭიერი ნორჩი კომპოზიტორი. მერი დავითაშვილს კი ისე მოეწონა ნანას საახალწლო სიმღერა „ნაძვისხე“, რომ ნოტებზე თვითონ ჩაუწერა და გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორთან გაგზავნა ნანა: „გიგზავნით ძალიან კარგ ბავშვს, თავისი შესანიშნავი სიმღერით „ნაძვის ხე“. ბავშვი განსაცვიფრებელი ნიჭიერია. მუსიკა და სიტყვები ამ სიმღერისა თავისი მოგონილია. ერთი სიტყვით, მე მხარს ვუჭერ, რომ თქვენს გაზეთში დაიბეჭდოს ეს სიმღერა...“

ფორტეპიანოზე დაკვრა ნანასთვის არავის უსწავლებია. მას ბუნებამ მიამადლა ეს ნიჭი. ამ ნიჭზე მეტყველებს მისი რამოდენიმე საფორტეპიანო ნაწარმოები: „ბურატინო“, „ბავშვების ცეკვა“, „კიკლი-კიკლი კიბესა“, „პატარა ბიჭის სიმღერა“, „სონატა“, საფორტეპიანო პიესები: „გაზაფხული“, „სამაისო“, „სანოემბრო“, „საახალწლო“, „ოქტომბრელთა მარში“ და სხვა. გასული წლის რვა მარტი პატარა ნანამ დედას სამი საფორტეპიანო ნაწარმოებით მიულოცა. ნანას დედა ლია გაბაშვილი ექიმია, მამა ეკონომისტი. ოჯახი ნანას მუსიკალური აღზრდით მეტად დაინტერესებულია. მშობლებს გულით სურთ, რომ მათი პატარა გოგონა სამშობლოს სასახელო ქალად გაიზარდოს. ეს პატარა წერილი პროფესორ პავლე ხუჭუას სიტყვებით მინდა დავამთავრო: „ნანა გაბაშვილი დიდი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული არსებაა. ვუსურვოთ მას ბრწყინვალე წარმატებები მომავალ სწავლასა და შემოქმედებაში“.

დ. მძინარიშვილი



# ბავშვი, რომელიც იცინის

სიძველის სუნი ასდის გამხმარ ყვავილებს, ტყეში რომ დაუკრეფიათ. დაცრეცილა, დამტყდარა ყვითელი ფოთლები, მაგრამ ნათითურები კარგად შეუნახავს. მასზე ერთი გოგოს თავგადასავალი სწერია.

პატარა ბავშვი ყვავილებს დაედევნა ტყეში, კრეფდა და სურვილს ვერ ერეოდა, მეტი უნდოდა. ის დიდხანს იწვა საწოლზე და ტყეში ახლა პირველად გაირბინა. იგი უმოძრაოდ ჩამოიყვანეს წყალტუბოს ბავშვთა სანატორიუმში. აქ აიდგა ფეხი ხელმეორედ, მერე გაიქცა და გაიცინა.

სანატორიუმის დაბურულ პარკში მან ნახა გვირილები, შეეჩვია მათ და თან წამოიღო. ბავშვი გამოჯანსაღებული წავიდა წყალტუბოდან და სამახსოვროდ გვირილები დასტოვა.

ეს გამხმარი ბალახები, ყვავილები, ფოთლები პატარას მეორედ დაბადებაზე ჰყვებიან. ამიტომ მაღალ თაროებზე ხელუხლებელ საჩუქარივით აწყვია ყვავილებით სავსე რვეულები. თითოეულს ცალკე გვარი და სახელი შეიძლება დაეწეროს, რადგან ასობით რვეული ასობით პატარა ხელმა შეავსო.

აქ აწყვია პირველი კლასის რვეული, სასოებით დაწერილი ასოებით და ერთგან უეცრად დაწვეთებული მელნით; არითმეტიკის რვეული, სწორად ამოხსნილი განტოლებით და პედაგოგის, ლიზა ქუთათელაძის დაწერილი ნიშნით; აქ არის ბავშვის საკუთარი ლექსები, ლიტერატურის მასწავლებლის ნოდარ გუგუშვილის შესწორებული რითმით. ბავშვებს ბევრი უხატიათ, უძერწიათ, უქარგიათ. ყველაფრიდან იკითხება სწავლისა და სიცოცხლის სიყვარულის დიდი სურვილი. ეს სურვილი წასულებმა თან წაიღეს, ნამუშევარში კი ამ სურვილის კვალი დარჩა.

ახლა კვლავ გაშლილია სამეცადინოდ წიგნებით სავსე მაგიდები. სიჩუმეში ფეხაკრეფით დადიან მასწავლებლები და მზად არიან გაუსწორონ, აუხსნან. ბავშვები გამართულნი სხედან, ჩაჰყურებენ წიგნებს და წააგვანან მათზე ადრე მოსულებს, შარშანდლებს, იმის წინანდელებს.

ისინი სამკუ[...]ალოდ ჩამოვიდნენ. ბევრს განძრევა არ შეეძლო. წყალტუბოს სასწაულმოქმედმა წყალმა და კარგმა მოვლამ ისინი ფეხზე დააყენა, გამოაჯანმრთელა. მაღალფანჯრებიანი და თეთროთახებიანი ლამაზი, თეთრი შენობა მათ მოგონებაში ჩასახლდა.

განსაკუთრებით აი, რა ამახსოვრდებათ:

1. ჩამოდგა მატარებელი. განიერ ფანჯრებში ერთად სურთ შემოტევა მწვანეში ჩაფლულ თეთრ სახლებს, მდინარე წყალტუბოზე გადაშლილ თვალწარმტაც დაბლობს, სამი მხრიდან ამომდგარ ბორცვებს, თბილ ჰაერს.

ჩამოსულებს ხვდებიან მანქანებით. ზოგიერთები გადაჰყავთ ხელით ძალიან ფრთხილად და თეთრხალათიანი დამხვდურის თვალები ამბობენ: „არაფერია, კარგად იქნები".

შემდეგ მიმღები, სანგამტარი, დასვენება სამი დღით, კლინიკური გამოკვლევა.

მომდევნო დღეები თითქმის ერთნაირია — მედდას ლამარა ქურიძეს არ ავიწყდება წამლების მიცემა, აბაზანაში პროცედურებს თვალყურს ადევნებს ექთანი ნაზი თუთბერიძე, ღამით პალატებს ჩამოივლის ძიძა კასიანე კალაიდაპულო, ზრუნვას არ იშურებენ რუსუდან დოლაბერიძე, ელენე გედევანიძე, თამარ ღვინიანიძე.

ინდივიდუალური მკურნალობით ექიმები აღწევენ კარგ შედეგებს. მცირდება და თანდათანობით ქრება პოლიომიელიტის, პოლიართრიტის, რევმატიზმის ნარჩენი მოვლენები.

ფიზკულტურა, მასაჟი, აბაზანები მეორდება დაჟინებით და კიდურები იწყებენ მოძრაობას, გული უკეთეს მდგომარეობაშია. კარგ შედეგებს იძლევა წყალქვეშა ვარჯიში პოლიომიელიტის, პოლიართრიტის, შეძენილი და თანდაყოლილი ამოვარდნილობების დროს. ფიზკულტურის მეთოდისტი ირინე ჩოგოვაძე ყოველდღე იმეორებს: „დავიწყოთ ვარჯიში. ერთი, ორი..."

2. გაცილება. ეს სულ სხვაგვარი დღეა. ოთახებში ისმის მხოლოდ სიცილი. ბავშვები გამოდიან დიდი, თეთრი შენობიდან ხელშეუშველებლად, ყველაზე დიდხანს ეთხოვებიან სანატორიუმის მთავარ ექიმს ელენე მეგრელიშვილს. მას ყველამ ერთად მოუტანა თავისი ტკივილი, უიმედობა, ჭირვეულობა, მძიმე დაავადება. მისგან ყველამ მიიღო ნუგეში, ტკბილი სიტყვა, მკურნალობა. ვერ წარმოუდგენიათ, ვინ უნდა დახვედროდათ აქ მასზე უკეთესი, საყვარელი, გულთბილი, მახლობელი.

გამოსათხოვებლად შეკრებილა მთელი კოლექტივი. აქ არიან დამლაგებლებიც, მზარეულებიც, ექთანებიც, ექიმებიც. მათ შორის დგანან კურორტოლოგიის ინსტიტუტის პედიატრიის განყოფილების ექიმები, რომლებიც სანატორიუმის ექიმებთან ერთად ეწევიან მეცნიერულ მუშაობას. აქ არის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ირაკლი ჩოგოვაძე, მეცნიერი თანამშრომელი თალიკო თოხაძე და სხვები, რომლებიც მუშაობენ იმისათვის,

რომ წყალტუბოს რადიაქტიულმა წყლებმა დაამარცხოს დაავადება,

რომ ბავშვებმა ირბინონ ტყეში, კრიფონ ყვავილები,

რომ ისინი აღარ ტიროდნენ ტკივილებისაგან,

რომ იყოს ბავშვი და იყოს სიცილი!

ლია კაკაბაძე



# ორი აკადემიის პრეზიდენტი



1783 წლიდან 1794 წლამდე რუსეთში ორი აკადემიის სათავეში იდგა ქალი — ეკატერინე რომანის ასული ვორონცოვა-დაშკოვა.

ვინ იყო ეს ქალი, რომელიც 11 წელიწადს ხელმძღვანელობდა რუსულ მეცნიერებას?

იგი იყო მწერალი. წერდა და თარგმნიდა პიესებს, ლექსებს, სტატიებს. მისი დიდი პატივისმცემელი და ბიოგრაფი გერცენი ფიქრობდა, რომ დაშკოვას „ჩანაწერები მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია XVIII საუკუნის შესასწავლად“.

იყო ხელოვნებათმცოდნე. მისი ჩანაწერები არქიტექტურისა და ხელოვნების ძეგლთა შესახებ გვაკვირვებს თავისი სიღრმითა და გემოვნებით.

იყო პედაგოგი. იცნობდა თავისი დროის პედაგოგიური მეცნიერების მნიშვნელოვან ნაწარმოებებს. აღზრდის საკითხში ემხრობოდა ყველაზე მოწინავე იდეებს.

იყო ფილოლოგი. დაშკოვას ინიციატივით გამოცემულ პირველ რუსულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში შევიდა მის მიერ სამ ასოზე შეკრებილი სიტყვები.

იყო რედაქტორი. მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა ჟურნალი „სობესედნიკ ლიუბიტელეი როსიისკოგო სლოვა“.

იყო ნატურალისტი. მოგზაურობის დროს ადგენდა ჰერბარიუმებს, აგროვებდა მინერალების კოლექციას, საკუთარი გეგმის მიხედვით აშენებდა ბაღებს.

იყო კომპოზიტორი. წერდა საეკლესიო მუსიკას.

იყო ქირურგი. ლანცეტით ხელში სიკვდილისაგან იხსნა ადამიანი.

ეკატერინე ვორონცოვა-დაშკოვა დაიბადა 1744 წელს პეტერბურგში. დედა ადრე გარდაეცვალა და მამამ იგი აღსაზრდელად მისცა თავის ძმას, „დიდ კანცლერს“ მიხეილ ვორონცოვს. ეკატერინე მ. ვორონცოვის ქალიშვილთან ერთად ფუფუნებაში იზრდებოდა და მაღალი წრის ქალიშვილის შესაფერ განათლებას იღებდა. 14 წლის ეკატერინეს წითელა შეეყარა და იგი სოფელში გაგზავნეს. აქ პირველად დაეწაფა წიგნებს, ამ დროიდან წიგნი გახდა მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი. 16 წლის ეკატერინე ვორონცოვა ცოლად გაჰყვა თავად დაშკოვს და საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. საინტერესოა, რომ ქალიშვილი, რომელიც მოწინავე ფილოსოფოს-განმანათლებლებს დედანში კითხულობდა და 4 უცხო ენას ფლობდა, თავის მშობლიურ რუსულს ძლივს ამტვრევდა. 1761 წელს დაშკოვები პეტერბურგში დაბრუნდნენ. ეს იყო ელისაბედის მეფობის უკანასკნელი წლები. ტახტის მემკვიდრე, „დიდი თავადი“ პეტრე არ სარგებლობდა სასახლის გავლენიან პირთა სიყვარულით. „სასახლის კარზე ცხოვრებამ დამანახვა რა ელოდა ჩემს სამშობლოს, როცა ტახტზე ავიდოდა გაუნათლებელი, შეზღუდული ხელმწიფე, რომელსაც არ უყვარდა არც თავისი ხალხი და არც რუსეთი“, წერდა ე. დაშკოვა. რამდენადაც მას სძულდა მომავალი ხელმწიფე, იმდენად მთელი გულით თაყვანს სცემდა მის ცოლს — ეკატერინე II-ს. დაშკოვასათვის ეკატერინე II უპირველეს ყოვლისა განათლებული, ნაკითხი ქალი იყო და იგიც, ისევე როგორც მისი თანამედროვე ბევრი განათლებული პირი, შეცდომით ფიქრობდა, ქვეყნის სათავეში მდგომ განათლებულ ხელმწიფეს შეუძლია ხალხისათვის სიკეთის მოტანაო. ასეთ განათლებულ ხელმწიფედ დაშკოვა ეკატერინე II-ს სახავდა.

1762 წლის 28 ივნისს პეტრე III ტახტიდან გადმოაგდეს და გამეფდა ეკატერინე-II. პეტრეს წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებაში ე. დაშკოვაც საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა, მაგრამ იგი ეკატერინე II-ს ნდობას ბოლომდე ვერ იმსახურებდა.

1764 წელს გარდაიცვალა დაშკოვას ქმარი. 20 წლის ქვრივს დარჩა უამრავი ვალი და ორი მცირეწლოვანი ბავშვი. ეკატერინემ გადაწყვიტა თავისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა მოეწესრიგებინა და საცხოვრებლად სოფელში გადავიდა. 1769 წელს დაშკოვა საზღვარგარეთ გაემგზავრა. მას სურდა გაცნობოდა ევროპის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მუზეუმებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს, მეცნიერულ კოლექციებს. პარიზში დაშკოვას ბევრი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა. ბევრს სურდა მასთან შეხვედრა, მაგრამ მან არავის ნახვა არ ისურვა, გარდა დიდროსი, რომელთანაც ადრე მიწერ-მოწერა ჰქონდა და ძალზე პატივს სცემდა. ჟენევაში დაშკოვა ეწვია ვოლტერს. მან მოიარა ბერლინი, დიუსელდორფი, დრეზდენი, ჟენევა, პარიზი, ლონდონი. ხანგრძლივმა მოგზაურობამ დაღალა იგი, ახლა მას გული სამშობლოსაკენ მოუწევდა. რუსეთში დაბრუნების შემდეგ დაშკოვა ხელმძღვანელობს თავისი ვაჟის აღზრდას, მონაწილეობს მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ სამეცნიერო საზოგადოების დაარსებაში, რომლის ბეჭდვით ორგანოში იგი აქვეყნებდა სტატიებს და თარგმანებს.

1775 წელს დაშკოვა კვლავ საზღვარგარეთ მიემგზავრება. 1782 წლამდე ეკატერინე ედინბურგშია. დაშკოვას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თავისი დროის გამოჩენილ ადამიანებთან. ისტორიკოსები რობერტსონი და ფერგიუსონი, ფიზიკოსი ბლეკი, პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი ადამ სმიტი — აი, ისინი, რომლებიც შეადგენენ მის წრეს ედინბურგში. ეკატერინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირი სტუმრები იყვნენ დიდრო, ისტორიკოსი რეინალი, მათემატიკოსი დალამბერი.

გადის წლები. დაშკოვას ვაჟი ამთავრებს ედინბურგის უნივერსიტეტს. ყოველთვის პირდაპირი და გულწრფელი ეკატერინე ახლა მიმართავს მისთვის უჩვეულო დიპლომატიას, რათა შესაფერისი ადგილი გამოუძებნოს თავის ვაჟს რუსეთის მეფის კარზე. დაშკოვები რუსეთში ბრუნდებიან. მოგზაურობამ, საზღვარგარეთ ხანგრძლივმა ცხოვრებამ ე. დაშკოვა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ რუსეთის განვითარების ყველაზე დიდი ხელშემშლელი მიზეზია მონური ქედმოხრა ყოველივე უცხოურის წინაშე.

სამშობლოში დაბრუნებული დაშკოვა მთელ თავის ენერგიას ახმარს რუსეთში განათლების გავრცელებას.

1782 წელს ეკატერინე ვორონცოვა-დაშკოვას მეცნიერებათა აკადემიის დირექტორად ნიშნავენ.

რუსული მათემატიკური სკოლის წარმატებები, მოგზაურთა დიდი წარმატება, რომლებმაც შეისწავლეს და აღწერეს ციმბირი, კამჩატკა, ვოლგისპირეთი, კავკასია და სამხრეთ რუსეთი, თავის დროისათვის მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე „რუსეთის ატლასი“ და „რუსეთის გეოგრაფიული ლექსიკონი“, გენიალური ლომონოსოვის მოღვაწეობა — ასეთია მიღწევები XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის.

აკადემიის ახალმა დირექტორმა ე. დაშკოვამ თავის პირველსავე გამოსვლაში იმედი გამოთქვა, „მეცნიერების შუქი აკადემიიდან ქვეყანას მოეფინებაო“. დაშკოვა ცოდნის გავრცელების მნიშვნელოვან საშუალებად თვლიდა ლექციურ პროპაგანდას, მისი ინიციატივით გაიხსნა კურსები, რომლებზეც გამოჩენილი მეცნიერები ყოველწლიურად, ზაფხულობით კითხულობდნენ საჯარო ლექციებს.

დაშკოვასავე ინიციატივით მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ლომონოსოვის თხზულებათა სრული კრებული. მან წესრიგში მოიყვანა აკადემიის მეურნეობა, რომელიც მანამდე ძალზე სავალალო მდგომარეობაში იყო. მნიშვნელოვნად გაზარდა აკადემიის გიმნაზიის მოწაფეთა რიცხვი, შეავსო ბიბლიოთეკა, რუსეთის სხვადასხვა კუთხეში დაგზავნა სამეცნიერო ექსპედიციები, შეადგენინა მთელი რიგი გუბერნიების რუკები, გაამდიდრა მინერალების კოლექცია, დააარსა ლიტერატურული გამოცემანი „სობესედნიკ ლიუბიტელეი როსიისკოგო სლოვა“ და „ნოვიე ეჟემესიაჩნიე სოჩინენია“, რომელთა შესახებაც დობროლუბოვი წერდა: „ამ ჟურნალებმა მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიჭიროს რუსეთის ლიტერატურისა და განსაკუთრებით ჟურნალისტიკის ისტორიაში“. მათი მიზანი იყო პოპულარული ფორმით მიეწოდებინა ცოდნა იმ პირთათვის, ვისაც მეცნიერული განათლება არ ჰქონდა მიღებული.

1783 წელს გამოიცა ბრძანება რუსეთის აკადემიის შექმნისა და მის პრეზიდენტად ეკატერინე დაშკოვას დანიშვნის შესახებ. ამ პერიოდში რუსეთის აკადემიის წევრები იყვნენ დერჟავინი, ფონვიზინი, გოლენიშჩევ-კუტუზოვი, ლეპეხინი და სხვები. დაშკოვამ შესძლო აკადემიის ირგვლივ შემოეკრიბა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები, განათლებული სასულიერო პირები, სახელმწიფო მოღვაწეები.

თუ პეტერბურგის აკადემია ძირითადად ზუსტ მეცნიერებებს აერთიანებდა, რუსეთის აკადემია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ცენტრად იქცა. დაშკოვა რუსეთის აკადემიის ძირითად დანიშნულებად თვლიდა რუსული ენის გრამატიკის, ლექსიკონის, ლექსთწყობის წესების, რიტორიკის შედგენას. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული ენის ძეგლების შესწავლას.

ეკატერინე დაშკოვამ აქტიური მონაწილეობა მიიღო აკადემიის პირველი რუსული ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენაში, რომელიც თავისი დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო.

ეკატერინე II-სა და დაშკოვას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა დაშკოვას მიერ აკადემიის ხარჯზე გამოცემულმა დრამატურგ კნიაჟინის პიესამ „ვადიმი“, რომლის მთავარი გმირი იყო ნოვგოროდის სახალხო ვეჩეს წარმომადგენელი. ეკატერინე II ამ წიგნში დაინახა თავის ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული აზრები და მისი დაწვა ბრძანა. დაშკოვასათვის სულ უფრო მძიმე ხდებოდა პეტერბურგში ცხოვრება. მან ორწლიანი შვებულება აიღო და საზოგადოებრივ საქმიანობას აღარ დაბრუნებია.

1796 წელს ეკატერინე II გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა იმპერატორი პავლე პირველი, რომელსაც კარგად ახსოვდა რა როლი ითამაშა ე. დაშკოვამ მისი მამის პეტრე III ჩამოგდებაში. დაშკოვამ იმპერატორისაგან მიიღო ბრძანება დაეტოვებინა თავისი მამული და ოჯახითურთ ნოვგოროდის გუბერნიის შორეულ მაზრაში გადასახლებულიყო.

1801 წელს პავლე პირველი გარდაიცვალა. ე. დაშკოვა გადასახლებიდან დაბრუნდა და საცხოვრებლად მოსკოვთან ახლო მდებარე თავის მამულში დასახლდა. აქ იგი უძღვებოდა მეურნეობას, წერდა დღიურებს და სტატიებს, მკურნალობდა ავადმყოფებს, მართავდა წარმოდგენებს, მიწერ-მოწერა ჰქონდა გამოჩენილ ადამიანებთან, მეცნიერებთან.

1810 წელს ე. ვორონცოვა-დაშკოვა გარდაიცვალა.

ამ სახელოვანი რუსი ქალის ეპიტაფიად გამოდგება დობროლუბოვის სიტყვები: „იგი შრომობდა არა მარტო იმისთვის, რომ ეჩვენებინა თავისი ღვაწლი, არამედ იმისთვისაც, რომ შეეტანა ცხოვრებაში განმანათლებელი იდეები, იგი თავის თანამედროვე რუს საზოგადოებაზე გაცილებით მაღლა იდგა“.

იბეჭდება შემოკლებით ჟურნალიდან — „ნაუკა ი ჟიზნ“.







ეროვნული ბიბლიოთეკა





# ႠႾႠႪႢႠႦႰႣႭႡႠ ႱႼႠႥႪႭႡႱ



თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში შექმნილია სწავლების ტექნიკურ საშუალებათა ლაბორატორია. ლაბორატორიაში მოწყობილია ხმის ჩამწერი სტუდია, სააპარატო, ათი რადიოფიცირებული აუდიტორია, ორი კინოაუდიტორია და ფონოდარბაზი.

სურათი № 1. ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი ტ. თოფურიძე ხმის ჩამწერ სტუდიაში ამზადებს სასწავლო მასალებს.

სურათი № 2. სტუდიაში ჩაწერილი მასალა მრავლდება სააპარატოში. აქ შეიძლება გადაიწეროს ერთდროულად ოთხი ასლი. ლაბორანტი ვ. ანთაძე გადაწერის დროს.

სურათი № 3. ლაბორატორიის ფონეტეკას მოკლე ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, თქვენ ნახავთ ინგლისური, ფრანგული და გერმანული მეტყველების ბევრ საინტერესო ნიმუშს.

ლაბორანტი ი. ბურუჩაშვილი ეძებს შეკვეთილ ფონოგრამებს, რომლებიც გადასაწერად იგზავნება სააპარატოში.

სურათი № 4. ლაბორატორიის რადიოფიცირებულ აუდიტორიაში ტექნიკის საშუალებით ერთდროულად მიმდინარეობს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მეცადინეობა. ჯგუფურ მეცადინეობას ხელმძღვანელობს ლაბორანტი ცაცა გუგუშვილი.

სურათი № 5. ლექციების შემდეგ ინსტიტუტის სტუდენტები სამეცადინოდ მიდიან ლაბორატორიის ფონოდარბაზში. აქ აკუსტიკურ ნახევარკაბინეტებში ისინი ასრულებენ სხვადასხვა სახის სავარჯიშოებს სპეციალური მაგნიტოფონების საშუალებით.

სურათი № 6. ფართოდ არის გამოყენებული უცხო ენათა სწავლების პროცესში სტატიკური პროექცია. მასწავლებელი მ. ახვლედიანი ატარებს მეცადინეობას სასწავლო დიაფილმით.

სურათი № 7. ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის 1 კურსის სტუდენტი ტ. ლოლაძე ოქროს მედლით შემოვიდა ინსტიტუტში. ახლა მოწინავე სტუდენტია.



ფოტო და ტექსტი **დ. იაკობაშვილის.**



# როზა თავდიდიშვილი

ოთხმოცი წელი შეუსრულდა მწერალ ქალს როზა თავდიდიშვილს. წელთა სიმრავლემ და სარეცელს მიჯაჭვულმა ხნეულმა სხეულმა ვერ წაართვა როზას შრომისმოყვარეობა. ნაჯაფარმა ცალამმა კვლავ გაახარა ჩვენი პატარები. ახლახან გამოვიდა მისი ახალი წიგნი — „ანდაზები რებუსებში", რომელშიც მხცოვანმა მწერალმა რთული ამოცანა-გასართობები შეიტანა და საფუძვლად დაუდო სახელო საგნების ღრმა ცოდნა.

როზა ხანანაშვილი-თავდიდიშვილისა დაიბადა 1886 წლის 19 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისში. ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებიც იქ გაატარა. შემდეგ მან წარმატებით დაამთავრა ქუთაისის ქალთა სასწავლებელი.

ებრაელ ქალთათვის მაშინ სამარცხვინო და მიუღებელი იყო წერა-კითხვის სწავლა. მით უფრო განათლების მიღება და ხალხში გამოსვლა. როზა პირველი ებრაელი ქალია, რომელმაც დაარღვია საუკუნეებით განმტკიცებული ჩვეულება და 1924 წელს მუშაობა დაიწყო ქუთაისში, გაზეთ „სტალინელის" რედაქციაში. აქედან იწყება მისი პირველი გაბედული ნაბიჯები მწერლობისაკენ. წერს ანტირელიგიურ თემებზე, ებრაელთა ყოფა-ცხოვრებაზე, მოუწოდებს ებრაელ ქალებს გავიდნენ დღის შუქზე, იშრომონ ბედნიერი ცხოვრებისათვის.

1940 წელს თბილისის მხარეთმცოდნეობის საზოგადოებამ სერგი მაკალათიას რედაქციით გამოსცა როზა თავდიდიშვილის პირველი ეთნოგრაფიული ნარკვევი — „ქუთაისის ებრაელთა ძველი ცხოვრებიდან". შემდეგ მას მოჰყვა მისი საბავშვო წიგნები: „ორი ძმა", „თავსატეხი", „გასართობი", „საბავშვო მოთხრობები", „ხატაურას წერილი".

ქუთაისში როზა თავდიდიშვილი მოწინავე საზოგადოების ცხოვრების ფერხულშია. 1926-30 წლებში ის ქუთაისის სამაზრო-საქალაქო საბჭოს დეპუტატია. ხელმძღვანელობს ებრაელ ქალთა სადელეგატო კრებას, სადაც დელეგატ ქალებს უკითხავენ მოხსენებებს სხვადასხვა საკითხებზე, როგორიცაა: ებრაული სარწმუნოება და ქალი, ბავშვთა სწორი აღზრდა, ოჯახური ყოფის მოწესრიგება, შრომისა და განათლების საკითხი. როზა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრია, სადაც უფასოდ ასწავლის წერა-კითხვას.

როზა თავდიდიშვილი ამავე დროს ქართველ ებრაელთა თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის სწავლული საბჭოს წევრი იყო. ის საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან აგროვებდა ებრაულ მასალებს მუზეუმისათვის. რუსთაველისა და მარის სახელობის ინსტიტუტებს სისტემატურად აწვდიდა ცნობებს მათი დაკვეთით. საყურადღებო მასალები გადასცა მან აგრეთვე საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოებას.

როზა თავდიდიშვილი თანამშრომლობდა და ახლაც თანამშრომლობს რესპუბლიკის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში. ხშირად იბეჭდებოდა მისი იუმორისტული ხასიათის სტატიები და ამოცანა-გასართობები.

„მშრომელი ქალის" ფურცლებიდან დღემდე ის ჩვენი ჟურნალის აქტიური მკითხველი და უხუცესი ავტორია.

ამჟამად პერსონალური პენსიონერი როზა თავდიდიშვილი თბილისში ცხოვრობს. გასაოცარია მისი შრომისმოყვარეობა და ნათელი აზროვნება დღესაც. გააზრებულ და გასაგებ პასუხებს მოითხოვს ახლანდელი ბავშვის ფხიზელი გონება. მისი ახალი საბავშვო წიგნი — „ანდაზები რებუსებში", რთული და დაძაბული მუშაობის შედეგია, რასაც მხცოვანი მწერალი ჯერ კიდევ ვერ შეელია.

კალამი არ შრება და როზა კვლავ მომავლით ცხოვრობს. თქმულებები, მოგონებები, ახალი გასართობები, ამოცანები... სურს ქაღალდზე გადაიტანოს, დაუტოვოს მომავალ თაობას.

როზას არ ავიწყდება მეგობრებისა და მახლობლების დაბადების დღეები. არც მას ივიწყებენ მისი მკითხველები და პატივისმცემლები — ახლაც გულთბილად მიულოცეს დაბადების 80 წელი.



# ტანსაცმლის გაწყობა მოდაში

თანამედროვე ჩაცმულობის სტილი სისადავითა და სინატიფით გამოირჩევა. სწორედ ამან გამოიწვია ტანსაცმლის დეტალებისა და გასაწყობი მასალის ასეთი მრავალფეროვნება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საყელოსა და ჯიბეების გაფორმებას.



1

მოდის ერთერთი სიახლეა ბოლოწაწვეტებული (ნახ. № 1) და, აგრეთვე, მაღალი, მთლიანგამოჭრილი საყელო (ნახ. № 2).



2

საყოველდღიურო კაბის, კოსტუმისა და პალტოს საყელოს ხავერდით აწყობენ (ნახ. № 3).



3

თეთრი პიკეს ან მაქმანის საყელო და სამაჯეები (მანჟეტები) კაბას ალამაზებს, სადა და ამავე დროს მდიდრულ იერს აძლევს. (ნახ. № 4).



4

საცეკვაო სალამოზე, თეატრში, წვეულებაზე წასასვლელად ქალიშვილებს შეუძლიათ ჩაიცვან გულამოჭრილი კაბები, გაწყობილი ჰაეროვანი არშიებით, ბაფთით ან ჰალსტუხით. მოდაშია აგრეთვე ლამაზი ჟაბოები და არშიამოვლებული სახელოები (ნახ. № 5).



5

უფრო ხანდაზმულ ქალებს შეუძლიათ საგარეო კაბის საყელო მძივებით დააქარგვინონ (ნახ. № 6).



6

სახელოები ნაირნაირი ფორმისა გვხვდება. მოდაში მკვიდრდება გრძელი, ვიწრო სახელოები. მოდაში დარჩა რეგლანი, ნახევარრეგლანი და აგრეთვე საკინძეზე შებნეული მანჟეტიანი სახელო (მამაკაცის პერანგის სახელოს მსგავსი).



7

არანაკლებ მრავალფეროვანია ჯიბეებიც. მოდაშია ოთხკუთხედი და მომრგვალებული ფორმის დაკერებული ჯიბეები. ჩაჭრილი ჯიბეების გასაწყობად ხშირად გამოიყენება თამასა (ნახ. № 7).

ამ სეზონში ტანსაცმლის გაწყობა სულ ნაირნაირი მოსართავით შეიძლება. ოღონდ, რა თქმა უნდა, არ უნდა დავარღვიოთ გემოვნების ელემენტარული ნორმები.

მოსართავის შერჩევისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რა დანიშნულებისაა ტანსაცმელი. ყველაზე ლამაზი მოსართავიც კი საშინლად დაამახინჯებს კაბას, თუ ის უადგილო ადგილას ვიხმარეთ.

არ შეიძლება ერთი ტანსაცმლის სხვადასხვა მოსართავებით გაწყობა. მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში შეიძლება ორნაირი მოსართავი ვიხმაროთ.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ გაწყობა მხოლოდ გამოსასვლელ, ძვირფას კაბებს მოუხდება. პირიქით, ყოველდღიური ტუალეტისთვის უფრო მრავალგვარი მოსართავი არსებობს.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, შალის სადა კაბა-კოსტუმი ან კაბა. რამდენად ლამაზი იქნება, თუ ამ კაბის საყელოს ქვეშ აბრეშუმის ჭრელ შარფს გავიკეთებთ.

სპორტული სტილის ყოველდღიურ კაბებს ძალიან უხდება დეკორატიული გვირისტი და ტყავის ქამარი. მოდაშია შესაკრავიც — ზონარისაგან გაკეთებული ჰაეროვანი ყულფი (ნახ. № 8).



8

ხშირად ხმარობენ ტყავისაგან დაწნულ ღილებს. ქსოვილგადაკრულ ფოლაქებზე კი სუტაჟს შემოაკერებენ (ნახ. 9).



9

საყოველდღიურო კაბებს აწყობენ სხვა ქსოვილის კანტით. ძალიან ამშვენებს კაბას ხელით ნაქსოვი საყელოთი და მანჟეტებით გაწყობა (ნახ. 10).



10

კუბოკრული (უჯრედებიანი) ქსოვილის კაბას ძალიან გამოაცოცხლებს ამავე ქსოვილისაგან ირიბად გამოჭრილი დეტალებით გაწყობა. (ნახ. 11).



11

სპორტული სტილის კაბას ან კოსტუმს ჯიბეზე შეიძლება დაკერდეს ხასხასა ემბლემა (ნახ. 12). ეს ემბლემა ან აპლიკაციებით სრულდება, ან იქარგება.



12

ერთფერი ქსოვილის საზაფხულო კაბები ირთვება მერეჟკითა და აჟურული ნაქარგებით.

საგარეო კაბის გასაწყობად შეიძლება უფრო მდიდრული მოსართავიც გამოვიყენოთ. მოდაშია კაბის გაწყობა ფოჩებით (კაბისავე ქსოვილისაგან), აბრეშუმის თოქით, რომელიც კაბაზე დაგვირისტდება წინასწარ მოხაზული ნახაზის მიხედვით (ნახ. 13).



13

სუტაჟით ან ზონარით დაქარგული კაბა შეიძლება დამატებით კიდევ მძივებით დაიქარგოს. ჩვეულებრივ, ქარგავენ კაბის რომელიმე დეტალსაყელოს ან ბეიკას (ნახ. 14).



14

კვლავ მოდაშია მშვენიერი მოსართავი — ხელოვნური ყვავილები (ნახ. 15). ოღონდ, ამგვარი ყვავილები უეჭველად სტილიზებული მანერით უნდა იყოს შესრულებული, თორემ ნატურალისტურად შესრულებული ყვავილის იმიტაცია ცუდ გემოვნებაზე მიუთითებს.



15

როგორი სამკაულები ატაროს ქალმა საყოველდღიურო კაბასთან? აქ არჩევანი მეტად შეზღუდულია: ლითონის კულონი, ჯიბეზე დასაბნევი ჯაჭვიანი ბრელოკი, ლითონის ან მინანქრის გულსაბნევი. ესაა და ეს.

სალამოს კაბებთან სატარებელი საიუველირო სამკაულების ასორტიმენტი კი უფრო ფართოა: მძივები, გულქანდები, გულსაბნევები, სამაჯურები... (თუ, რა თქმა უნდა, თვითონ კაბა არაა მორთული პრიალა მოსართავით). პრიალა, ბრდღვიალა სამკაულება ყველაზე უფრო სადა, ერთფეროვან კაბებს უხდება.



16

თანამედროვე მოდა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ჩვენი ფანტაზია და გემოვნება. ოღონდ, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ: მოსართავი უნდა უხდებოდეს ტანსაცმლის მთლიან სტილს და დასრულებულ სახეს ანიჭებდეს მას.

## საუბარი წიგნზე

# თავგადასავლები, ფათერაკები...

თერთმეტ-თორმეტი წლის ყმაწვილს რომ ჰკითხოთ, როგორი ხასიათის წიგნები უფრო გაინტერესებსო, უპირველეს ყოვლისა, სათავგადასავლოს დაგისახელებთ. სათავგადასავლო რომანები მუდამ იტაცებდა მოზარდ თაობას. ყველა ქვეყანაში და ყველა ეპოქაში გატაცებით კითხულობდნენ და კითხულობენ: „რობინზონ კრუზოს“, „უკანასკნელ მოჰიკანს“, „უთავო მხედარს“... ამ ხნის ბავშვებს არანაკლებ უყვართ მოგზაურული ჟანრისა და ფანტასტიკური ხასიათის თხზულებები. ხელიდან ხელში გადადის „გულივერის მოგზაურობა“, „საიდუმლო კუნძული“, მოთხრობები შერლოკ ჰოლმსის შესახებ, „უჩინარი კაცი“...

იკითხონ თუ არა ასეთი ხასიათის ლიტერატურა ბავშვებმა? კერძოდ, მოძველებული, ყავლგასული ხომ არაა ათეული წლების წინათ დაწერილი თხზულებები?

არა, კლასიკური ნაწარმოებები არ ძველდება.

კლასიკური სათავგადასავლო, მოგზაურული და ფანტასტიკური ხასიათის თხზულებები ბავშვებში ზრდის აქტიურ, მებრძოლ სულს, აღძრავს ძლიერი აზროვნებისა და მეცნიერული ძიების პატივისცემას. ემსახურება უდიდეს ამოცანას — ზრდის ადამიანს ძლიერს, კეთილშობილსა და ლამაზს.

ორასორმოცდაათი წლის წინათ გამოვიდა ლონდონში დანიელ დეფოს წიგნი: „იორკელი მეზღვაურის რობინზონ კრუზოს ცხოვრება და თავგადასავალი“. ინგლისელებმა მაშინვე შეიყვარეს იორკელი მეზღვაური, მოეწონათ რობინზონ კრუზოს საინტერესო თავგადასავალი და წიგნს კითხულობდა ყველა, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, ვისაც კითხვა შეეძლო. „რობინზონ კრუზო“ მრავალ ენაზე ითარგმნა.

ქართველ მკითხველებშიც პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“. მეცხრამეტე საუკუნეში თარგმნა იგი ქართველმა მოღვაწე ქალმა მარიამ ჯაჯანაშვილმა, უფრო გვიან კი — საბავშვო მწერლობის მოამაგემ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა. ანასტასია წერეთლის თარგმანი რამდენჯერმე გამოიცა. ჩვენს დროში „რობინზონ კრუზო“ ხელახლა ითარგმნა ვახტანგ ჭელიძის მიერ და ეს თარგმანი უკვე მეექვსედ გამოიცა.

რითი ხიბლავს მკითხველს „რობინზონ კრუზო“, ან რას აძლევს ჩვენს მოზარდ თაობას ეს წიგნი?

ბავშვებს ხიბლავს და იტაცებს ახალგაზრდა მეზღვაურის უცნაური შემთხვევებით სავსე, მეტად თავისებური თავგადასავალი, მოსწონთ მისი შეუპოვრობა, მომავლისადმი რწმენა, მტკიცე ნებისყოფა: უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი რობინზონი შეებრძოლა მის წინააღმდეგ ამხედრებულ მრისხანე ბუნებას. საოცარი მხნეობა და სიბეჯითე გამოიჩინა, ბუნება დაიმორჩილა და უდაბურ კუნძულზე ოცდარვა წელიწადი იცხოვრა.

„რობინზონ კრუზო“ ყმაწვილს აცნობს, როგორ აქცია შრომამ გონიერ ადამიანად ერთი უდარდელი, ჯიუტი და თავქარიანი ახალგაზრდა. „რობინზონ კრუზო“ შრომის ჰიმნია და ამიტომაც უნდა იკითხოს იგი ჩვენმა მოზარდმა თაობამ.

ჩვენმა ყმაწვილებმა უნდა წაიკითხონ ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“, ფენიმორ კუპერის „უკანასკნელი მოჰიკანი“, მაინ რიდის „უთავო მხედარი“, სტივენსონის „განძის კუნძული“... ასევე აუცილებელია იკითხონ: ჟიულ ვერნის, ჰერბერტ უელსის ფანტასტიკური რომანები.

ათი წლის ბავშვებს უკვე შეიძლება მივცეთ წასაკითხად ჟიულ ვერნის „კაპიტან გრანტის შვილები“, „80.000 კილომეტრი წყალქვეშ“, „საიდუმლო კუნძული“. ჯერ ერთი, ქართულად მეტად კარგი თარგმანები მოგვეპოვება და სიამოვნებას მიანიჭებს მკითხველს, და მეორე, რაც მთავარია: ბავშვები დაინტერესდებიან სიუჟეტის მოულოდნელი გაშლით, დაძაბული მოქმედებით; რომანებში მოთხრობილი ამბები გაუღვიძებთ ცნობისმოყვარეობასა და მაძიებლობის გრძნობას, შთაუნერგავთ მეცნიერების სიყვარულს, ადამიანის ყოვლისშემძლეობისადმი რწმენას.

ერთ დროს და, სამწუხაროდ, არც ისე შორეულ წარსულში, ზოგიერთი მასწავლებელი და მშობელი კატეგორიულად უკრძალავდა ბავშვებს, წაეკითხათ ისეთი სათავგადასავლო ნაწარმოები, როგორიცაა მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“. ისინი ამბობდნენ: „რა უნდა ასწავლოს საბჭოთა ბავშვებს ისეთმა წიგნმა, რომლის გმირი სკოლაში ხულიგნობს, მასწავლებლებს პატივს არ სცემს, ქურდობს, დეიდას ატყუებს, თამბაქოს ეწევა, გოგოს ჰკოცნის...“

მაგრამ საბჭოთა ბავშვები მაინც კითხულობდნენ და ახლაც კითხულობენ „ტომ სოიერის თავგადასავალს“. და განა მართლა არაფერს სწავლობენ?

მარკ ტვენი, ტომ სოიერს რომ წერდა, ამბობდა: „ეს სულაც არაა საბავშვო წიგნი, მას მხოლოდ მოზრდილები წაიკითხავენ. იგი მხოლოდ მოზრდილებისთვისაა დაწერილი“. გავიდა ნახევარი წელიწადი. ტომის მომხიბლავი თავგადასავლის თხრობას მწერალმა წერტილი დაუსვა და თავის გამომცემელს მისწერა: „წიგნი განკუთვნილია ბიჭუნებისა და გოგონებისათვის“. მართლაც, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ ნამდვილი საბავშვო წიგნია, რომლის წაკითხვა მოზრდილებსაც სიამოვნებას ჰგვრის.

ცნობილია,რომ ბავშვობა სულიერი და ფიზიკური ძალების აყვავების ხანაა. ბავშვობაში გული სავსეა სიხარულით. უსაზღვრო ფანტაზია გაქვს, გინდა იცინო, იმხიარულო. საკითხავადაც ისეთ წიგნებს ეტანები, რომლებშიც საოცრებები, გამოგონებები, მხიარული თავგადასავლებია მოთხრობილი.

უპირველეს ყოვლისა, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ საოცარი მოვლენების საინტერესო გადმოცემით იზიდავს ბავშვებს. მკითხველი თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალყურს ტომის ოინებს, გზადაგზა ეცინება, ზოგჯერ თავს ვერ იკავებს და ხარხარებს. როგორ გაახალისებს ბავშვს თუნდაც ასეთი მომენტი:

დეიდა პოლის უნდა დასაჯოს ტომი მორიგი ცელქობისათვის.

„წკეპლამ ჰაერში გაიშხუილა. განსაცდელი გარდუვალი იყო.

— ვაიმე, დეიდა, მიიხედეთ უკან, რაღაცაა!

მოხუცი მიტრიალდა, თან შიშით კაბის კალთა აიწია, ბიჭმა კი მოკურცხლა, თვალის დახამხამებაში ხის მაღალ მესერს გადაევლო და თავს უშველა. დეიდა პოლი ჯერ გონს ვერ მოვიდა გაკვირვებისაგან, მერე კი ჩუმად ჩაეცინა“.

გონებაგამჭრიახობა და საზრიანობა შველის ტომს ყოველ გასაჭირში. აი, ტომმა წამალი უნდა დალიოს. „გასასინჯად“ კატას დაალევინა. კატა მეტისმეტად გამხიარულდა, იქაურობა აურდაურია. დეიდა პოლი გაბრაზდა და ტომს ჰკითხა:

„— აბა, გეთაყვა, ერთი ამიხსენი, რაში დაგჭირდა საწყალი კატის წვალება?

— შემეცოდა და იმიტომ მივეცი წამალი. დეიდა არა ჰყავს და ვინ დაალევინებდა?

— რა შუაშია დეიდა?

— დეიდა რომ ჰყავდეს, მთელ შიგნეულს შეუბრალებლად გამოუთუთქავდა, არაფრად ჩააგდებდა, რომ ის კატაა და არა ადამიანი!

დეიდა პოლიმ უცებ სინდისის ქეჯნა იგრძნო“.

მოხერხებულმა ტომმა ასე აიცდინა თავიდან წამლის დალევა.

ტომი ღონიერი, ჯანსაღი, მხიარული და ანცი ყმაწვილია. მდიდარი ფანტაზიით დაჯილდოებულს, გული უწუხს განუწყვეტელი ჭკუის სწავლებისაგან. ხშირად ატყუებს დეიდა პოლის; ატყუებს მასწავლებლებს, მაგრამ ტომი მატყუარა არაა. ტომის არსებაში ერთიმეორეს ერწყმის სასაცილო და ამაღელვებელი. ტომი კეთილია. ტომს ადამიანები უყვარს.

მარკ ტვენი ამბობდა, შეიძლება აცინო მკითხველი, მაგრამ ეს წყლის ნაყვაა, თუ ნაწარმოებს ადამიანების სიყვარული არ უდევს საფუძვლადო. „ტომ სოიერის თავგადასავალს“ ადამიანების სიყვარული უდევს საფუძვლად. იგი მოთხრობაა სილამაზეზე, უჭკნობი მომაჯადოებლობით აღსავსე ბავშვურ მიამიტობაზე. იგი ყოველი ეპოქისა და ყოველი ქვეყნის ბავშვს ჩაუნერგავს სიცოცხლის სიყვარულს, ადამიანის სიყვარულს.

უყვართ თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს თავგადასავლები, ფათერაკები, ხიფათები, მოგზაურობა, ფანტასტიკა?... სასიამოვნოა. გამომცემლობა „ნაკადული“ რამდენიმე წელიწადია სწორედ მათთვის სცემს სერიას — „სათავგადასავლო ბიბლიოთეკა“. წააკითხეთ მათ ამ სერიით გამოცემული წიგნები!

ლილი გოგოხია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლე კაბა ხნოვანებას ამხელს...



პოლონურიდან

მოკლე კაბების მოდამ დიდი შეშფოთება გამოიწვია ქალთა სამყაროში. უცხოური ჟურნალების გარეკანებზე გაჩნდა ქალიშვილების პორტრეტები, რომლებიც თავიანთ კოხტა ფეხებს ამჟღავნებენ მუხლისთავებზე საკმაოდ მაღლა. აქედან შეიძლება ის აზრი გამოვიტანოთ, რომ „მოდის კანონმდებლები" „გვიბრძანებენ" ჩავიცვათ მოკლე კაბები. ჰოდა, რა ვქნათ? დავიმოკლოთ კაბები? რამდენზე? როგორც ყველა სადაო საკითხის გადაჭრისას, ქალთა საზოგადოება ორად გაიყო: ერთნი „მოკლე" მოდის მხურვალე მხარდამჭერები არიან, მეორენი კი, პირიქით, ფიცულობენ, რომ არასოდეს ჩაიცვამენ ასე მოკლე კაბას.

რომელია მათში მართალი? მართლაცდა, როგორი კაბები ვატაროთ?




როგორც ყოველთვის, უნდა ატაროთ ის, რასაც გონიერება გიკარნახებთ. დადექით სარკის წინ, კრიტიკულად ახედ-დახედეთ თქვენს აღნაგობას და მერე ჩაიხედეთ... პასპორტში, სადაც თქვენი დაბადების თარიღია აღნიშნული. ჩაფიქრდით, რა სიგრძის კაბა მოუხდება თქვენს ტან-ფეხს და ასაკს? და შეურიგდით იმ აზრს, რომ გარკვეულ ასაკში ზომიერება უნდა დაიცვათ, თუგინდ მარლენ დიტრიხის ტანადობა გქონდეთ.

მხოლოდ თხუთმეტ წლამდე გოგონებს უხდება მუხლზევით კაბების ტარება. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის გამხდარ ქალიშვილებსაც შეუძლიათ ატარონ კაბები ოდნავ მუხლის ზევით. მაგრამ ოცი წლისა და კიდევ ამაზე უფროს ქალიშვილებს უფრო გრძელი ქვედატანი უნდა ეცვათ, ხოლო ოცდაათ-ოცდათექვსმეტი წლის ქალებს — კიდევ უფრო გრძელი. ორმოცი — ორმოცდახუთი წლის ქალს მუხლი უეჭველად დაფარული უნდა ჰქონდ ;ს.

იმათთვის, ვინც ა? ;კიცებს, ძალიან მოკლე კაბების მოდა ასაკის მიუხედავად არის დადგენილიო, ჩვენ მოგვყავს ყველაზე ცნობილ პარიზელ „მოდების კანონმდებელთა" ციტატები:

„გამოაჩინოს ქალმა მუხლები თუ არა, პირველ რიგში, ეს პროპორციის საკითხია. კაბის სიგრძე დამოკიდებულია ქალზე, რომელმაც ის უნდა ატაროს, მის აღნაგობაზე და ასაკზე".

„კაბის სიგრძე გემოვნების სიავკარგის საკითხია. ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელსაც მაღალი, ჩამოსხმული ფეხები აქვს, შეუძლია ატაროს მოკლე კაბა. ორმოც წელს გადაცილებულ ქალს — არა".

„ამ სეზონის მოდა კი არ ფარავს, არამედ ააშკარავებს ქალის სილუეტს. ამიტომ ქალებმა სიმართლეს თვალებში უნდა ჩახედონ: ეს მოდა მათ ხნოვანებას ამხელს".

# რას ხედავს დედოფალი

რა უცნაურიც არ უნდა იყოს ეს ამბავი, დედოფალი ელისაბედ მეორე ვერასოდეს ვერ ხედავს ინგლისს ისეთს, როგორიც ის სინამდვილეშია. ადგილობრივი ხელისუფლები ამისათვის ყოველ ღონეს ხმარობენ — რგავენ ყვავილებს, ფარავენ საგნებს, რომლებიც ყველამ არ უნდა დაინახოს, ცდილობენ დედოფლის ჩამოსვლამდე ისე გააკეთონ, რომ ყველაფერი გამოიყურებოდეს უფრო ლამაზად, ვიდრე სინამდვილეშია, როცა დედოფალი მიდის, ყვავილებს და დეკორაციულ ბუჩქებს ძირფესვიანად თხრიან და, აგდებენ.

ასეთი მზადება არასოდეს არ ხდება დედოფლის სურვილით. ეს „ენთუზიაზმი" თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს ყოველი წლის ზაფხულში, რადგანაც დედოფალი სახელმწიფოში უმეტესად წლის ამ სეზონში მოგზაურობს. აი, თუნდაც, ერთი მაგალითი იმ დიდი გრძნობებისა, რამაც მოიცვა ძველი ქალაქის ტრუროს (სამხრეთ-დასავლეთი ინგლისი) ხელისუფალნი, როცა დედოფალი იქ ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა. რადგანაც ტრუროს ქუჩებზე დაგებული იყო არათანაბარი რიყის ქვა, ქალაქის მმართველებმა იფიქრეს: დედოფალმა, რომელსაც მუდამ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია, შეიძლება ფეხით გავლა მოისურვოს, ქუსლი ჩაუვარდეს ხვრელში და ფეხი იტკინოსო. ამიტომ მათ ბრძანება გასცეს, იმ გზაზე, სადაც დედოფალს უნდა გაევლო ლინოლიუმი დაეგოთ.

მისი წასვლის შემდეგ მუშებმა, რა თქმა უნდა, მაშინვე აიღეს ლინოლიუმი. მაღალი წოდების პირის ერთი ასეთი სტუმრობა ქალაქის მუნიციპალიტეტს დაუჯდება ორი ათასი გირვანქა სტერლინგი, თუნდაც ეს ვიზიტი ძალიან ხანმოკლე იყოს.

ასე მაგალითად, ელისაბედ II-ის ვიზიტი უოლსონში, რაც ნახევარი დღე გაგრძელდა, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ათი ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

ერთხელ. როცა დედოფალი ელისაბედი მან ჩესტერში მიემგზავრებოდა, გზის გასწვრივ ყველა ძველი სახლი, რომელთა დანგრევაც გათვალისწინებული იყო, ხელახლა შეღებეს. ის კი არა, ისე შეარმონტეს ერთი ძველი სახლი, რომ დაავიწყდათ ამის შესახებ მისი პატრონისათვის ეცნობებინათ. რა დიდი იყო მეპატრონის გაოცება, როცა მან ინახულა თავისი მიტოვებული ვილა და ნახა, რომ ფანჯრები ახლად იყო შეღებილი და ცისფერი ფარდები ეკიდა.

ამას წინათ დედოფალი ეწვია ერიკ ტინდელს სახლში (ჩრდილო აღმოსავლეთი ინგლისი) ფინჯან ჩაიზე. მასპინძელმა წინასწარ შეიტყო იმ დიდი პატივის შესახებ, რაც მას მოელოდა. ამიტომ სასწრაფოდ შეარემონტა სახლი, რომ ღირსეულ სტუმარს შესაფერისად დახვედროდა. „ფინჯანი ჩაი ოთხმოცი გირვანქა სტერლინგი დამიჯდაო" — ყვებოდა იგი შემდგომ.

მარგარიტა სავილი

## დ. გაფრინდაშვილი
# საახალწლო იუმორი





გარეკანის პირველ გვერდზე — „საახალწლო ნაძვის ხესთან“. ფოტო დ. იაკობაშვილის.
გარეკანის მეოთხე გვერდზე — „მზე შინა და მზე გარეთა“! მხატვარი ბელა ბერძენიშვილი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/I 1967 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ტირაჟი 100.000, შეკვ. № 3926 უე 01904 ფასი 80 კაპ.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос Кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76178

